გივი

ალხაზიშვილი

დიალოგი ფიქრში

გამომცემლობა „მერანი“ 1981

მრავალს უსაუბრია ფიქრში წარსულთან და მომავალთან, მტერთან და მოყვარესთან. უბრძოლია ფიქრში მომხვდურთან. მრავალი ბარათი დაწერილა ფიქრში. ფიქრი დიდი ქვეყანაა.

ფიქრში, ზოგჯერ, მრავალი მოწინააღმდეგე შეიყრება ერთად და მათი უხმო დიალოგი თითქოს რეალური ცხოვრების თავისებური გაგრძელებაა.

„აღუვსებელი საწყაული“ ახალ–ახალ ფიქრებს და სურვილებს ბადებს, ფიქრებს კი — მარადისობის ნამცეცებს — „დროის სული“ ასაზრდოებს.

გივი ალხაზიშვილი

70403—66
ა ———— 38—81.
М 604 (08)——81

© გამომცემლობა „მერანი“ 1981

დიალოგი ფიქრში

მდუმარებაში, როგორც აკორდი _
სევდანარევი და შორეული,
ისე გაისმა შენი სახელი
და უეცარი შუქით შეავსო
შემოდგომის დღე _
მარტოობის კვამლით დანთქმული.

მე ვეღარ გკითხე _
(ძველი კიბის საფეხურივით გაცვეთილი)
_ "სად იყავი, ასე რატომ დაგაგვიანდა?!"

აჩემებული მოტივივით გიმეორებდი,
თუ გივიწყებდი _ უნებლიეთ,
ალბათ ისე, შვილის სახე რომ ავიწყდება
დასასვენებლად წასულ ჩინოვნიკს,
სულ რომ იხსენებს,
მაგრამ მაინც არ აგონდება
და თვალებს ხუჭავს ერთის იმედით:
იქნებ წამით აღვადგინოო,
მაგრამ ამაოდ.

_ დაკარგვის შიში?!
_ ნეტა საიდან, რომელ ხვრელიდან
ამოძვრება დაკარგვის შიში?!
ვიცოდე მაინც, რომ ამოვქოლო სამარადისოდ,
თუმცა იქაც არ მოისვენებს _
შიშის მარცვალი რომ გაღვივდება,
ამოხეთქავს, გაიტოტება,
ისევ შენი თვალებიდან ამოიხედავს.

_ ასე ვარსებობ უშენობით შეწუხებული,
როცა შენს სახეს ვეღარ ვიხსენებ,
მხოლოდ თვალები გაიელვებენ
და მთელი ღამე ბზრიალებენ
უძილობით დაღლილ მზერაში.

მე მეშინია შენი მოსვლის,

გამოგონილი მყუდროების განადგურების,
ამ სიმშვიდის ყურმოჭრილი მონა ვარ ახლაც
და პატრონს სხვებზე გასაყიდად
არ ვემეტები.

_ ღალატი?
ფიქრში ღალატიც ღალატია!
_ მე ღალატსაც ვღალატობ ფიქრში,
იმიტომ ვანგრევ, რომ ავაშენო
და აშენებულს დასანგრევად
ვიმეტებ ხშირად.
ჩვენ ვმალავთ ფიქრებს,
რადგან ფიქრი ამაოებას ამხელს კაცისას,
ჩვენ კი არ გვიყვარს ამაოების გამზეურება.

_ შენც გიფიქრია?

_ ნეტა ვის არ უფიქრია...
მხოლოდ ბრიყვი ამხელს ფიქრებს
და ჩვენ დავცინით, რადგან ყველანი
სიბრიყვეს ჩვენსას ვნიღბავთ ნიადაგ
და გვშურს ბრიყვის თავისუფლება.

გამოიგონეთ უამრავი წინაღობა
და აღარც ძალი, აღარც გონი
აღარ შეგწევთ მათი დანგრევის.
_ ირონიაა მარადისი მფარველი ჩვენი,
თვით ნეიტრონის ბომბზე ძლიერი,
გაუყიდველი მეგობარი _
მარადიული თანამგზავრი დედამიწისა!

*

გარდაიცვალა? რითი?
ასე ახალგაზრდას რა დაემართა?
იკითხავს ვინმე დედაკაცი,
ბრილიანტის საყურეებს ააციმციმებს,
ფრანგულ სუნამოს შემასუნთქებს
და მოირგებს მწუხარე ნიღაბს.
_ ქალბატონო, მას თქვენსავით
მარტოოდენ საწოლი და ტანსაცმელი არ აწუხებდა...

იცით? მისი სულის მღვიმეებში წვეთავდა შხამი
და შეუმჩნევლად იზრდებოდნენ
შხამიანი სტალაქტიტები _
გულისაკენ _ ერთადერთი სამიზნისაკენ...
ინფარქტი _ ახლა ასე უწოდებენ მედიკოსები.

*

მდუმარებაში, როგორც აკორდი _
სევდანარევი და შორეული,
ისე გაისმა შენი სახელი
და უეცარი შუქით შეავსო
შემოდგომის დღე _
მარტოობის კვამლით დანთქმული.

დაგშორდი ფიქრში, მაინც დაგშორდი,
შენც მიგატოვე,
ჩემი სიცოცხლის წმინდა სტუმარი,
შენ ვარსკვლავების საბანი გხურავს,
გინთია მთვარის თავსასთუმალი.
გთხოვ მომიტევო, თავად არ ვიცი,
საით მივყავარ ფიქრთა დინებას.
ის ეხეტება აღმა და დაღმა
და ბოლოს მაინც
შენს წიაღში მიეძინება.

ჩემო სტუმარო, გაიხსენე ზღაპრული ჭალა:
ბზა, სურო, დაფნა,
ზღვის სანაპირო,
გზა, სულს რომ ღაფავს
და ცის საფირონს
მიერთებია თეთრი კვამლივით,
სწორედ იქითკენ ვეხეტებოდი,
მეგულებოდი, უსხეულოვ, იქ დაგეძებდი,
ათასი წლის წინ გიხილე და არ მავიწყდები.

ამაოდ ვლიე გზები სავალი,
თურმე შენ ფეთქავ ყველგან და მარად:
ცეცხლში და წყალში, ცაში, მიწაზე,
შენ ხარ მუსიკა,
მიყურადებულ კაცს რომ ჩაესმის

თვალუწვდენელი სივრცეებიდან,
მთელი სიცოცხლე ეწვალება მერე საბრალო _
გადაიწეროს ის მუსიკა
თეთრ ფურცლებზე,
მაგრამ მუსიკა სწრაფად ქრება,
იგი გვშორდება, სივრცეებში უჩინარდება.

– ოდეს ამაოდ აღავლენთ მზერას ზესკნელისაკენ,
გადმოგიგდებთ იმედის ლუკმას, ძლივსგასაგონად დავურეკავ
არფას,
ათასწლეულთა სიღრმეებიდან რომ გაგაგონოთ
და გაგიტყუოთ სივრცეებში სახეტიალოდ.

* * *

– რომანტიკოსო, დახედე მიწას,
თავი ანებე წამიერ სტუმარს,
მიმოიხედე, ის აღარ არის
და ზეციური არფებიც სდუმან!

მშიერს, დაბზარულს დახედე მიწას,
წყურვილისაგან დამსკდარ ბაგეთა
გეცნო ჩურჩული?! გვეძახის მიწა,
მოგვიხმობს შვილთა მოამაგეთა.

უბრუნდებიან ფოთლები მიწას
შიშით, წვალებით, ქვითინით, ნებით
და ბოლოს მაინც უბრუნდებიან
ჩაჟალტამებულ ნოემბრის გზებით.

შენ კი მოელი მითიურ სტუმრებს
და როგორც მთებზე ღრუბლის ჩრდილები,
დიან დღეები თითქოსდა ზანტად,
ჩვენც ამ დინებას ვემორჩილებით.

დროის სიზანტე მოჩვენებითი
სწრაფწარმავლობას ნიშნავს ნიადაგ,
უცნობი ხალხით გარემოცულო,
შენ, მრავალი წლით დაგაგვიანდა!

* * *

– რას გაიხსენებ ჩაბჟუტულ სხივს

ან ჩავლილ ტალღას,
მოწყვეტილ ფოთოლს –
შემოდგომის ყვითელ პეპელას,
მხოლოდ ჟამიჟამ შემაკრთობს ეჭვი:
თანდათან, ჩუმად რაღაცას ვკარგავთ...

მხოლოდ ჟამიჟამ ვცხოვრობ წარსულში,
როგორც სარკმლიდან, იქიდან გიმზერ,
შემებრალები ამ სიმდორეში,
ამ მოსაწყენი წლებით დანთქმული.

მხოლოდ ჟამიჟამ ეჭვის მცენარე,
მოისხამს შიშის საზარელ ნაყოფს:
არავის ესმის, არავინ გისმენს,
ტყუილად ჩხაპნი, ტყუილად ლაყბობ.

– შენ უფრო მეტად წარსულს ეკუთვნი,
გახლართულია შენი ფესვები
გარდასულ დღეთა უხილავ ფსკერზე,
იქით გიზიდავს მორევის ბრუნვა...

– რად მეჩვენება თითქოს ეს წუთი
ან დღე–ღამის მონაცვლეობა –
არ დასრულდება,
არასოდეს ჩაიფერფლება?!

მხოლოდ ჟამიჟამ შემაკრთობს ეჭვი –
ტოტებდახუნძლულ მცენარესავით,
როცა შევიგრძნობ სიახლოვეს ფერისცვალების
და მენანება, ყოველ წუთს რომ
რაღაცას ვკარგავ.

მე ვემატები წარსულს თანდათან,
ჩავლილ ტალღასთან, ჩამქრალ სხივთან,
იმ მოწყვეტილ ფოთოლთან ერთად,
მე ვემატები წინაპართა მდუმარებას
და გარდასულ დღეთა სარკმლიდან
შევყურებ როგორც მიწიერ ვარსკვლავს –
შვილის ხალათზე ამოქარგულ
ვარდისფერ ყვავილს.

– მზე, ქარი, მიწა ჩუმად გსრუტავენ,
სუყველას მიაქვს თავისი წილი,
შუქი და წყალი,
სითბო და თრთოლვა,
შენც უბრუნდები მშობლიურ წიაღს,
ღვთით ბოძებული გაეც,
გაიღე დაუნანებლად.

ხედავ? ქარს მიაქვს,
შენს თვალებში გაბლანდული
სევდის ღრუბელი
და გულის ფრიალს იმეორებს
ვერხვის ფოთოლი –
კენწეროზე რომ ჰკიდია ობლად
და საბრალოდ ცახცახებს ქარში.
ხედავ? ცას მოსწყდა
შენს თვალებში ანთებული
წყვილი ვარსკვლავი
და უკვალოდ გაუჩინარდა...

გაეც, გაიღე ღვთით ბოძებული დაუნანებლად!

დღე ხვალინდელი
წარსულისკენ მიედინება,
შენც იქით მიხვალ –
მომავლისკენ რომ ეშურები,
მაშ მიეც დროის უსამანო მთლიანობას
ღვთით ბოძებული წელიწადები –
დაუნანებლად, დაუნანებლად, დაუნანებლად.

●

მე ავადა ვარ გაზაფხულით
და გაქცევაზე მიჭირავს თვალი,
უნდა გავექცე ჩემს თავს სადმე,
უნდა ვაჯობო სიმხდალეს ჩემსას
და ისე, ისე მოგიახლოვდე,
როგორც ცაში ღრუბელს ღრუბელი.

მე ავადა ვარ გაზაფხულით,
ადრეულით, მოულოდნელით,

აღსავსე სისხლით მოუსვენარით,
რომელსაც თითქოს ენატრება
გარდასახვა ყაყაჩოებად,
რომ შენს უმწვანეს და იდუმალ
ბორცვებს მოედოს.

მე ავადა ვარ გაზაფხულით,
ჯანმრთელ მარცვალს მონატრებული _
მიწის წიაღით...

ო, დედოფალო, მიიღე ჩემი სიყვარული _
ქარვისფერი ხორბლის მარცვალი
და კიდევ ერთხელ აგრძნობინე
ნეტარება აღმოცენების.

დაუვიწყარი

ზღვა მთელი ღამე შენზე მღეროდა,
იმეორებდა თითქოს შენს სახელს.

ტალღები ზღვის სიტყვებია,
ერთიმეორეს დაეძებენ
და ნაპირისკენ ეშურენიან...

ზღვა ყველა სიტყვას ტალღებით ამბობს
და მუდამ ნაპირს ესაუბრება,
ნაპირი კი საზღვარია,
ზღვამ ოდესღაც რომ მიატოვა
და გული ისევ იქით მიუწევს.

თოლიები _ ზღვის ფიქრები
ზღვის ნაპირას დაფარფატებენ.

დამსვენებლები, მზიან პლაჟზე
უზრუნველად გაწოლილები,
სვამენ საამო შემოდგომის
ულურჯეს დღეებს
და სეზონის სიყვარულით სავსე ჰაერი
სამოთხის ვაშლის სურნელებით გაჟღენთილია.

ზღვა მთელი ღამე შენზე მღეროდა,
თითქოს შენს სახელს ჩამჩურჩულებდა.

სიცარიელეს ვერ შეავსებს ზღვის ხმაური,
ვერც შენზე დარდი,
არც გულცივი წიგნების კითხვა...

ვგრძნობ დაქანცულ, ცარიელ ფიტულს,
რომელიც მალე მიეგდება ხმელ საწოლზე
და თვალებში თვლემის ნისლი შეუდედდება.

მაგრამ ძილი _ დაღლილი კაცის
უერთგულესი მეგობარი _ სხვებთან წავიდა,
მე კი მარტოდმარტო დამტოვა.

შენკენ მახედებს ვიოლინოს შორეული ხმა,
შენკენ, ვინც თავად მიგატოვე
და უარგყავი...

ხელისგულები ავიფარე დაღლილ თვალებზე
და სიბნელიდან კვლავ შენი სახე ამოცურდა,
ხელისგულებზე შენი ღიმილი ამოიქარგა.

* * *

რა იქნება,
მოულოდნელად შემოხვიდე
და ერთფეროვან ღამეებიდან
ეს ერთი ღამე გამოარჩიო, დამამახსოვრო.

ერთხელ მაინც გადავევლოთ
ჩვენი ზნეობის მაღალ გალავანს _
ქვებით კი არა, სიტყვებით ნაგებს:
რას იტყვის ხალხი!
სირცხვილია!
არ შეიძლება!

გადის სიცოცხლე,
ჩემი ნატვრა
შენს ნიზმრებში დაეხეტება,

აქამდე აღწევს შენი უხმო გულისძახილი...

გადის სიცოცხლე,
მივაჟღარუნებთ ზნეობის ბორკილს
და როცა ვფიქრობ,
რომელიღაც საუკუნეში მაინც შეგხვდები,
ამ ქვეყნიდან წასვლას ვჩქარობ,
რომ შენამდე გზა შევიმოკლო.

* * *

მე შენთან მოვალ ხმაურის მერე,
გზებით დაღლილი,
ცხოვრებაზე ხელჩაქნეული,

მე ვემგვანები ფეხადგმულ ჯაგს,
სიზმარში რომ წყაროსთან მიდის
გვალვისა და სიკვდილის შიშით
და ფესვებით ეძებს სიგრილეს.

ჩემი ფესვები ფიქრებია
და ფიქრები
ახლა შენკენ მოცოცავენ ისე ჯიუტად,
რომ მეც მოვყვები
შენს ორაზროვან სიმყუდროვეში.

მე შენთან მოვალ ხმაურის მერე,
გზაზე დაგდებულ პურის ნატეხს,
ავიღებ ფრთხილად,
სულს შევუბერავ და ვაკოცებ,
როგორც ხელს შენსას _
უარყოფილს და მონატრებულს.

მგზავრი

ხანდახან უკან მოიხედე, კეთილო მგზავრო,
ეს გზა განვლილი _ გასავლელი იყო ოდესღაც,
მეხსიერებას შერჩენია ნაფლეთ-ნაფლეთად
ნებიერ დღეთა სიამენი,

რომლის იმედსაც დაუფიქრებლად წინ მიჰყავხარ დასასრულისკენ.

აი, სოფელი... გზამ სოფლისკენ გადაუხვია,
მუხათა ხნიერ ჩრდილში გაგხვია
და გახურებულ მხრებზე, ხელებზე
გრილი ნიავი შემოგაფინა...

თითქოს ჰაერიც ბებერია,
ჰაერის სუნთქვაც უხილავი სიღრმიდან მოდის
და ხავსიან და ნოტიო სურნელს ღრმად ისუნთქავენ
ქალაქის მჭვარტლით გაბოლილი შენი ფილტვები.

სიბერე, სიღრმე, ხავერდივით ხასხასა ხავსი,
ხნიერ მუხათა ხეივანი _
მოულოდნელ სევდის სათავე,
წვეთავს სულში, ჩუმჩუმად წვეთავს
და ივსები, როგორც ჭურჭელი.

ხანდახან უკან მოიხედე, კეთილო მგზავრო,
გზა გასავლელი განვლილია სხვათა მიერ,
თუ შენ პირველი შედიხარ მდუმარ სავანეში?

რა დარჩა უკან, უკაცრიელ უდაბნოს ხვატში _
ხმა მღაღადებლის?
იგი ხომ მოგდევს, საკუთარი ჩრდილივით მოგდევს?
გრძნობ, შიშველი ფეხისგულებით
მიწას კი არა,
მიწადქცეულ მგზავრებს ეხები,
მათ, ვინც აქ წვანან ხავსიანი მიწის სიღრმეში,
ვინც ერთმანეთს ემატებოდნენ
და ხავსიან სიჩუმეს ზრდიდნენ.

ხანდახან უკან მოიხედე, კეთილო მგზავრო,
უკან ჩვენ დავრჩით, იქაც ჩვენ ვართ,
სადაც შენ მიხვალ...

მოჩანს სათავე? იგი არ ჩანს
და არც შენი აღსასრული ჰქვია დასასრულს.

შენა ხარ მგზავრი, მორიგი მგზავრი
და მიწადქცეულს, ოდეს სხვა მგზავრი

შეგეხება ფეხისგულებით
და შეისუნთქავს შენი ფიქრით
გაჟღენთილ ჰაერს
და გულზე დარდი შემოენთება,
ისიც შენსავით გაიკვირვებს,
და ვერ შეიტყობს მოწყენის მიზეზს...

სტუდენტის დღიურიდან

ვცხოვრობ დაქირავებულ ყუთში,
რომლის ფართობი უდრის 7 კვ. მ.-ს.

როცა ზეცა მომენატრება,
ბავშვობის ზეცა,
სადაც ფიქრი და ოცნება გავზარდე,
სხვა გზა არ არის, თვალებს ვხუჭავ,
რათა ზეცა წარმოვიდგინო,
რადგან ჩემი საცხოვრებელი ყუთის
ერთადერთი სარკმლიდან
მხოლოდ გამვლელთა ფეხები მოჩანს
და მანქანების საბურავები.

(მე ვარ მეოცე საუკუნის დიოგენი,
კასრის მაგიერ დაქირავებულ ყუთში ვცხოვრობ).

წიგნები სკამის მაგივრობას მიწევენ.
წიგნები, როცა ვკითხულობ,
ჩემი დაქირავებული ყუთის კედლებს
უხმაუროდ ანგრევენ
და 7 კვ. მეტრი 7 მილიონი კილომეტრის სივრცის
თავისუფლებით სუნთქავს.

წიგნი არა მარტო კედლებს,
ჭერსა და იატაკსაც ანგრევს
და ჩემი დაქირავებული ყუთი
უსასრულოდ იზრდება სიმაღლეში, სიგანეში.

დაბრუნება აუცილებელია და მეც ვბრუნდები
დაქირავებულ ყუთში შორეული მოგზაურობიდან,
ჯიბეებს მოვიჩხრეკ და მიხარია,

რომ პურის და _ “პრიმის” ფული მაქვს,
რომ ვაკეში, უნივერსიტეტის ეზოში,
დასეირნობს ჩემი სიყვარული _
თეთრი და ჰაეროვანი,
რომელიც დღეს დაქირავებულ ყუთში მესტუმრება.

დიდი დათვალიერება

დღესასწაულზე მობრძანდა ყველა,
პატივმოყვარე მასპინძლები
ეგებებოდნენ სასურველ სტუმრებს,
დარბაზში ენთო ვეება ჭაღი _
ბროლის ყვავილი
და ლარნაკებში
შედედებული სისხლისფერი
მიხაკები ყელყელაობდნენ.

დღესასწაულზე მობრძანდა ყველა...

ერთი სტუმარი,
ისე ოდნავ უკრავდა თავს
თვალგაბრწყინებულ ნიღბოსნებს,
თითქოს ეშინოდა, თავის დახრისას
თავი კისერს არ მოწყვეტოდა,
ვით დამპალ ყუნწს ჭიანი ნაყოფი.

დღესასწაულზე მობრძანდა ყველა...
რამდენიმე ათეული კაბა,
რამდენიმე ათეული პიჯაკი,
უამრავი სამკაული
და დაიწყო დიდი დათვალიერება.

გაჩაღდა ლხინი,
აცეკვებდა მუსიკა მუხლებს,
სადღეგრძელოში ამბობდნენ,
რასაც არ ფიქრობდნენ
ან არ სჯეროდათ,
მაგრამ როგორც საჭირო იყო,
ისე ამბობდნენ.

დღესასწაულზე მობრძანდა ყველა,
არ ჩანდა მხოლოდ დღესასწაული,
ის დაივიწყეს,
იგი იდგა ნახევრად ბნელ სადარბაზოში
და სულ პირველად შეღებილი წამწამებიდან
ჩამოსდიოდა შავი ცრემლები.

* * *

მთას ზოგან ნისლი შერჩენია
ობობას ქსელივით მსუბუქი და გამჭვირვალე,
თვალებში ცრემლი გიქრება _
ცისკრის ვარსკვლავის ნამცეცი,
შენი სახელი გულისგულში შემოპარულა
და მღერის, როგორც ღამის ჭრიჭინა.

სადღაც უკრავენ გიტარას
და სევდიან აკომპანიმენტს
აჩვევს გუგული უძველეს გუ-გუს...

ამ სიმშვიდეში,
იდილიურ მდუმარებაში,
წყაროს ხმაში,
შაბიამნისფერ ვენახებში,
თითქონ ჰაერშიც
ჩაბუდებულა უმშვიდესი მოწყენილობა,
რომელსაც შენი სახელი ჰქვია.

* * *

რას ფიქრობენ ჩვენზე ვარსკვლავები,
როცა მათი მზერა გვიბურღავს
უმწეო თვალებს?

რას ფიქრობენ ჩვენზე ხეები,
როცა ჩავუვლით და ცას ვუმზერთ
მეჩხერ ტოტებში?

რას ფიქრობენ ჩვენზე მთები,
ქალაქს კარზე რომ მოსდგომიან

და თოვლიანი კალთები უჩანთ?

გიფაქრიათ,
რას ფიქრობენ ჩვენზე ისინი,
ვისზე ფიქრსაც გადავეჩვიეთ?

გიფიქრიათ,
რომ ფიქრის დრო აღარც კი გვრჩება?!

* * *

სახედაღარულო დიდედა,
ეგ ნაოჭები შენი დარდების იეროგლიფებია,
ყველაზე ადრე მათი კითხვა
ცრემლმა ისწავლა და ოფლის ცვარმა _
სპეტაკ შუბლზე ჩამოღვარულმა.

დარდი, რომელიც არავისთვის გაგიმხელია,
მარადის რომ გულს გიკუმშავდა,
განა უკვალოდ განიბნეოდა,
ღამეები გახატავდნენ სახეზე.

მე ვისწავლე შენი ნაოჭების _
სევდიანი იეროგლიფების ამოკითხვა,
თითქოს სახეზე ხმელი ტოტის ჩრდილი გაფენია,
იმ წლების ტოტის, რომელიც მოჭრეს.

დაღლილ ხელებზე
ლურჯი ძარღვების ფესვები გიჩანს,
შენი ხელები ფერად მძივებს უმარცვლავენ
შვილიშვილს თვალწინ,
ჩვილს ეფერები, ჩვილს უღიმი
და ღიმილისგან კიდევ ერთი ნაოჭი ჩნდება,
ყველაზე ღრმა და ყველაზე მკვეთრი _
სიყვარულის იეროგლიფი.

* * *

ცის სილურჯეა მზერის სავანე,
ალბათ თვალები იქ ჩაქრებიან,
იქ, დღე-ღამის შესაყართან,

მუქ სილურჯეში.

მე დავღამდები,
ვარსკვლავებით თვალავსებული
შევუერთდები უსასრულო სიცარიელეს.
შენ გევედრები, ნუ ჩაიმუხლებ ჩემი ფიტულის
მწვანე ბორცვთან,
მიაყურადე ზაფრანისფერ მზის ჩასვენებას,
მწუხრის ვარსკვლავს მიაყურადე
და შენ მიხვდები,
რომ მე ყველგან ვარ,
როცა შენს ცრემლში გავახელ თვალებს,
როცა იხილავ ჩემს ფიქრს _
მიწისკენ შრიალ-შრიალით წამოსულ ფოთოლს,
რომელსაც თურმე ფოთოლცვენა კი არ აშინებს,
მას შემოდგომის ქარ-წვიმა და
ჟანგისფერი ტყე კი არ აკრთობს,
არამედ სწრაფვა გაურკვეველი,
გარდასახვის ბუნდოვანება.

სოფლის სასაფლაოზე

ცხელოდა სოფლის სასაფლაოზე,
ხავსიან საყდრის ჩამონაშალი
ჰგავდა ბერდედას ქვებზე წაქცეულს,
ეკალბარდებში პირქვეჩამხობილს.

დახტოდა ბავშვი საფლავის ქვებზე
და სიცილის ხმა მდუმარებაში
მიწკრიალებდა, როგორც ეჟვანი,
და ანათებდა კენტი სხივივით.

ცხელოდა სოფლის სასაფლაოზე
და სასაფლაოს ყვავილთა ნექტარს
ეზიდებოდნენ სკაში ფუტკრები,
ჩვენ კი შინისკენ მიგვქონდა სევდა.

სწავლობდა ფრენას ბეღურას ბარტყი,
საფლავის ხიდან საფლავის ხემდე
მიფრთხიალებდა და დავყურებდი

მიწას _ მომავალს, გარდუვალ შედეგს.

საყდრის ნაშალზე აღერილ იფანს
ბუდე ეჭირა პატარა ტოტით
და გაშიშვლებულ, ძლიერი ფესვით
მკერდში ჩაეკრა საფლავის ლოდი.

ჩანადა სოფელი, ძველი სახლები
ჰგავდნენ მგზავრობით დაქანცულ გემებს,
საუკუნეთა ზღვა რომ გაცურეს
და წამიერად სიცხეში თვლემენ.

ასე, თვლემაში უახლოვდება
ოცდამეერთეს მშვიდი სოფელი
და როგორც სოფლის მეხსიერება,
თვლემს სასაფლაო უარყოფილი.

გზააბნეული მოგზაურის ფიქრი

როგორ გინდა, ისე განვლო ეს ჭაობი,
რომ ფეხიც კი არ დაისველო,
კოჭებამდეც კი არ ჩაეფლო,
როცა მრავალი უკვალოდ გაქრა,
ამ ჭაობში გაუჩინარდა.

როგორ გინდა, თანამგზავრები დააიმედო,
როცა იმედზე დაფიქრებაც კი იძირება.

*** * ***

ათანას ფეტს

გადავიღალე და თვალებს მიწვავს
დამწვარ ფოთლების მხრჩოლავი კვამლი
და თუ განმკურნავს, მარტოდენ მიწა _
უებარი და ბებერი წამლით.

დღეები, როგორც მწარე აბები,
სულსა და სხეულს ისევ შხამავენ,
არც არაფერი მაქვს საამბობი

და შენც, უთუოდ, მეტყვი ამავეს.

მე ავადა ვარ და თვალებს მიწვავს
ჩამწვარ დღეების მხრჩოლავი კვამლი,
იქნებ ამ ყვითელ ბალახზე მივწვე,
გზას გავუშტერო თვალები ჩავლილს.

ვიწვები ასე, ბედის გამრიგევ,
საფიქრალს ჩემსას სხვებთან გაგატან.
მივწვები, იქნებ ვერც კი გავიგო
და შევეზარდო მიწას თანდათან.

ყოველდღიურად მოცოცავს ხავსი,
კედლებს კი არა, გულებს ედება
და სულს, ნაღვლიან სიმღერით ავსილს,
რაღაცის მაინც ეიმედება.

მოლოდინი

ათასწლეულთა ორი ხელი _
სტალაქტიტი და სტალაგმიტი
ისწრაფიან ერთმანეთისკენ,
ალბათ, ოდესმე შეერთდებიან.

ჩვენ კი რამდენი საუკუნე უნდა ვიცადოთ,
რამდენი ცრემლი უნდა ვღვაროთ,
რომ ოდესმე...

ნატვრა

ხომ შეიძლება, გზად მიმავალი შეგაჩეროს ლამაზმა გოგომ, ხელი ჩაგკიდოს, უსიტყვოდ გაჰყვე, უმისამართოდ. ისე მდუმარედ ჩაიაროთ დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, რომ მხოლოდ სითბო, ნანატრი სითბო გადადიოდეს ხელიდან ხელში.

გაზაფხულზე კი, როცა ნიავს ყვავილების მტვერი მიმოაქვს, თქვენი ნაყოფიც გაინასკვება, როგორც ცაზე კენტი ვარსკვლავი.

გარეუბანი

1.
მაღალ სახლებთან
ჩამოივლის სოფლის ნახირი,
ჩამოიყოლებს მინდვრების სურნელს,
ეჟვნების წკრიალს, ძაღლების ყეფას
და ქალაქელი სოფლელები,
ქუჩის პირად შეგროვილები,
მყისვე შეცვლიან საუბრის თემას
და ჩავლილ ნახირს
თვალს აყოლებენ.

_ აქ, თითო სახლში,
თითო-თითო სოფელი ცხოვრობს,
უშარაგზებოდ, უეკლესიოდ, უსასაფლაოდ!
_ სამაგიეროდ, ცხელი წყალი,
ბუნებრივი გაზი და ლიფტი
რამდენს ნიშნავს, სამგიეროდ!

ეს ქალაქელი სოფლელები
მაღალ სახლებზე აცოცებულ
ვენახებს ჰგვანან,
სიზმრად სოფელში ცხოვრობენ და
ცხადში _ ქალაქში.

2.
მწუხრის ვარსკვლავო,
ხმელ ტოტებში მოხეტიალევ,
საით მიგყავარ, სად ჩამიქრები?
ხმელ ტოტებში მოხეტიალევ,
ეს ნაბიჯები გაზომილი ნაბიჯებია,
ძალის დაზოგვით, მოთმინებით
მიჰყავს სხეული,
რომ სახლამდე მიაღწევინოს.

მწუხრის ვარსკვლავო,
შენი ლამაზი ცივი ციმციმით
შეაგონე მეგობრებს ჩემსას,
რომ ლოდივით მძიმე დარდზე _
მე რომ წამაქცევს, ქვეშ მომიქცევს

და საფლავის ქვად
ზედ დამეცემა,
ნუ დააწერენ ნურცერთ სიტყვას,
დაახატონ გაყინული შენი ციმციმი
და კაქტუსის გრძელი ეკლები _
ჩემი სიცოცხლის იეროგლიფები.

მწუხრის ვარსკვლავო,
ახლად ამოსულ მნათობის შუქზე
ჩანს მინდორი გარეუბნისა _
დიდი ქალაქის დიდი სანაგვე,
ჩანს თვალდათხრილი თოჯნების
ხუჭუჭა თმები,
ჭრელი საბნების ნაფლეთები,
დაჟანგული რკინის საწოლი,
დალეწილი სარკეების ნამცეცები _
ცის სინათლეს რომ ირეკლავენ
და მერე ისევ ცას უბრუნებენ.

მწუხრის ვარსკვლავო,
აქ, საგნების სასაფლაოზე
დაეხეტება უპატრონო ძაღლების ხროვა,
ეძებენ სარჩოს,
დაყნოსავენ თოჯინების ხუჭუჭა თავებს
და შეჰყმუიან გათოშილ ღამეს.

მაღალი ძაბვის მავთულების
ამაზრზენ ზუზუნს
ერთვის საგნების უხმო გოდება,
დალეწილ დღეთა უხმო ქვითინი,
მოისმის ხსოვნის სასაფლაოდან.

მწუხრის ვარსკვლავო,
გუბიდანაც შენ იმზირები,
მღვრიე გუბესაც
შენი შორი შუქი აცოცხლებს,
შენით ივსება სარკეების ნამცეცები
და მზერას ჩხვლეტენ ცივი ეკლებით.
აქ, ამ საგნების სასაფლაოზე,
გარდაცვლილი დღეების ფერფლში,
ვირთაგვების გამოხრული გლობუსი გდია...

სად ხარ ამ ნაგვის პატრონო,
საგნების მონებო?!
ზოგჯრ აქეთაც ამოიხედეთ.
სადა ხართ ანტიკვარის კოლექციონერებო?
საკომისიო მაღაზიებში ვერაფერს ნახავთ,
აქ კი უფასოდ იყიდება
სიყვარულის ანტიკვარი _
ჩაწყვეტილი რკინის საწოლი,
ბუკინისტური იშვიათობა _
დიეტური ლექსების წიგნი,
თვალებდათხრილი თოჯნები _
დიდი ხნის წინათ ბავშვებისთვის
გულისფანცქალით შინ რომ მიგქონდათ,
ჩამოკონკილი ნაძვის ხეები _
ბრჭყვიალები რომ შემოაძარცვეს
და ნაგავში გადაუძახეს,
რადგან დაბერდა ახალი წელი
და შარშანდელს დაემსგავსა ტყუპისცალივით.

მოკლე დიალოგი

1
_ ეს დღეც მკვდარი დაიბადა...
_ ვიზიარებ თქვენს მწუხარებას,
ტირილად არ ღირს,
მომავალზე იფიქრე კვლავაც!

_ მომავალი?
ის სადღაც არის, მაგრამ არ მოჩანს!

_ უნდა გაუძლო, უნდა იდგე
ჰორიზონტის ცისფერ ყულფში თავგაყოფილი.

2
_ მინახავს თქვენი ნიანგის ცრემლი _
გაყინულ მზერაში ისე კიაფობდა,
როგორც ხავერდზე მარგალიტი რიოში.
მახსოვს თქვენი ცრემლით,
ნიანგის ცრემლით _

წვეთი შხამით მკვდარი საღამო.

_ ეს დღეც მკვდარი დაიბადა.

3
თქვენ შეეჩვიეთ ფიქრში სიცოცხლეს,
ფიქრში სიყვარულს,
ფიქრში გმირობას,
თქვენ გეშინიათ ხმამაღლა თქვათ:
“აი, აქ, გულში,
გულის გულში ძალიან მტკივა”.
თქვენ გეშინიათ სიმართლის თქმა,
ახმაურებულ ბავშვებს ტუქსავთ,
რომ კვლავ ფიქრში განაგრძოთ არსებობა,

თქვენ გეშინიათ... ნეტა ვისი გეშინიათ?

_ მაცილის, ექიმო!
ერთ ჩემს კოლეგას
არაფრის რომ არ ეშინოდა,
თურმე ნემსი გაუკეთა მაცილმა და
ბრიყვის ტვინი გადაუნერგა!

_ სისულელეა, ჩვენს ქალაქში
რა უნდა მაცილს, _
სთქვა ექიმმა და
სიცილისგან ჩაბჟირდა კაცი.

დაქირავებული თოვლის ბაბუა
(მარტივი ჩანახატი)

კარი გაიღო, საბავშვო ბაღში შემოაბიჯა თოვლის ბაბუამ და ბავშვების მბრწყინავ თვალებში ჩაიხატა ასი ნაძვის ხე, ასიოდე თოვლის ბაბუა, ასჯერ პატარა, მაგრამ ასჯერ უფრო წმინდა, ვიდრე ნამდვილი.

როცა დასრულდა საახალწლო ზეიმი ბაღში,
როცა მიიღო გასამრჯელო თოვლის ბაბუამ
და სხვა ბაღისკენ გაქანდა ტაქსით,
მოწყენილ მამას შინისაკენ მიჰყავდა შვილი _

მხიარული და ბედნიერი.

სადიდო და საბავშვო ბაღი

დილით, როცა საბავშვო ბაღის გზას დავადგებით მე და ჩემი სამი წლის ბიჭი, იგი ფეხს ითრევს და ვინ იცის მერამდენედ მეკითხება:
_ საბავშვო ბაღი, მამი, ჩემი სამსახურია? შენც ხომ დადიხარ დიდების ბაღში? მასწავლებლები შენც გაჭმევენ უგემურ ფაფას?
_ ო, თქვენი ფაფა გაცილებით გემრიელია იმ ფაფასთან შედარებით, ჩვენ რომ მივირთმევთ.
ამასობაში მივაღწევთ კიდეც საბავშვო ბაღის რუხ შენობას და თუმცა თვალი უეცარი სევდით ევსება, იხტიბარს მაინც არ გაიტეხს, დიდი კაცივით ხელს დამიქნევს, გამიღიმებს ნაძალადევად და შებრუნდება.
რად მეჩვენება, როცა პაწია ხელს მიქნევს იგი, უხილავ ძაფს ეწევა თითქოს, რომლის მეორე ბოლო ჩემს გულზეა გამობმული...
ასე იწყება დღე "საბავშვო ბაღის სამსახურიდან" "დიდების ბაღის სამსახურამდე".
ხოლო საღამოს, დაქანცული შინ რომ ვბრუნდები, ჩემს დანახვაზე ისე ლაღად მოფარფატებს ჩემი ბიჭუნა საბავშვო ბაღის ღია კარისკენ, როგორც ჩიტი გალიიდან თავდაღწეული.
მივალთ სახლისკენ ბედნიერები. შინ გველოდება ზღაპრები და ველოსიპედი, შინ გველოდება ლექსების წიგნი, ძილი და მერე გამოღვიძება...

მეშჩანები

ვისაც გგონიათ, ყველაფერი დამთავრდა უკვე
და წვრილმანებზე ფაციფუცში გაგყავთ ცხოვრება,
მოსაჩვენებლად დაფუსფუსებთ
და არხეინად იქსოვთ
სიმშვიდის ცარიელ პარკებს...

ოი, როგორ მებრალებით,
აბრეშუმის ჭიებო,
რა საცოდავად დაფუთფუთებთ შიშის ფოთლებზე.

ვისაც გგონიათ, ყველაფერი დამთავრდა უკვე,
რომ ეს ჭაობი სიმშვიდეს ნიშნავს,

იყიყინეთ, ვიდრე თქვენზე ძვირფასი წიგნი
ძილის წამალზე გაცილებით სწრაფად მოქმედებს,
ვიდრე წიგნი ბროლის ლარნაკზე იაფია,
მაგრამ “იყოს, თაროს ამშვენებს”.

ოი, როგორ მებრალებით,
აბრეშუმის ჭიებო!

თქვენი ფიქრები
მწერებივით დაღოღავენ ძვირფას ნივთებზე,
ავეჯზე და ფაიფურის უნიტაზებზე.

თქვენ არასოდეს არ გიგრძვნიათ,
ახლად გამომცხვარ პურის სურნელი,
რომ სამშობლოს თბილი სუნთქვაა.

მთავარია, ძაღლები არ გაგიცივდეთ,
თოვლში დიდხანს ნუ ასეირნებთ,
თუ ასეირნებთ, თბილად ჩააცვით!

გაგიხედიათ იქით?!

იქ კრწანისის ველია! გესმით?
იქ ძვლების რიყე შთანთქა მიწამ,
არა იმიტომ, რომ თქვენს ხავსიან თავებს ეხარა,
როგორც ნაკელზე ამოსულ გოგრებს?!

გესმით, შვილები სულ სხვა კამერტონს
აჩვევენ სმენას
და სულ სხვა მხარეს იმზირებიან?!

ყვითელი ფოთლების დიალოგი

1

ნაცრინფერი _ ყველაზე ნაცნობი და შეჩვეული ფერი.
ნაცრისფერი ქუჩა, ნაცრისფერი ლაბადა და ნაცრისფერის დედა _ ნაცარი.
ფოთლები, რომლებიც ინკვიზიტორი მენაგვეების “აუტო დაფეს” გადაურჩნენ, ქარს უმადლიან ყვითელ სიცოცხლეს და უგზო-უკვლოდ მიფარფატებენ. ხის ტოტებზე შემორჩენილი ფოთლები დაბლა არც კი იხედებიან, რადგან ჰგონიათ, სამუდამოდ იშრიალებენ.

დღე _ შენი ლაბადისფერი _ ნაცრისფერი.
შენ _ ყინწვისის ანგელოზი მეგონე ოდესღაც...
რა განსხვავებაა შენსა და ყინწვისის ანგელოზს შორის? იგი ანგელოზია და არც კი იცის, რას ნიშნავს დღესდღეობით ყველაზე უფრო პოპულარული სიტყვა _ ღალატი. ვერ დავიჟინებ, შეიძლება იციან კიდეც?!
“აწმყო ცვლის წარსულს” და წარსული არც სამოთხეა, არც ჯოჟოხეთი, წარსულია მარტოოდენ. ჩვენ კი ხეზე შემორჩენილი შემოდგომის ფოთლებივით დაბლა არც კი ვიხედებით, ვდარდობთ, როცა ქარს მიჰყავს ვინმე, მაგრამ მალე გვავიწყდება და გვგონია, სამუდამოდ ვიშრიალებთ.

2
შენი ხელისგული საქართველოს კონტურულ რუკას მაგონებს, მოსაფერებელს. წვრილი ხაზები მდინარეებია, სხვადასხვა მხარეს, ორი ზღვისკენ მიედინებიან. შენი ხელისგული ცრემლებით ინამება და ცრემლიანი მზერა იმახსოვრებს ხელისგულზე მოქსოვლ ბედისწერის აბლაბუდას.
სუსხიანი ქარი ნაცრისფერი დღის ნაცარს გვაყრის თვალებში და ჩვენ ხელიხელჩაკიდებულნი მივალთ, როგორც ბრმები, რადგან ვერაფერს ვხედავთ და ჩვენი ხელისგულები შეერთებულნი, ერთმანეთში გადაზრდილნი, ერთმანეთის იმედით თბებიან.

3
ნაცრისფერი დღე, ნაცრისფერი ლაბადა, დამწვარი ფოთლების ნაცარი...
შენ, ყინწვისის ანგელოზი მეგონე ოდესღაც, მაგრამ როცა აღმოვაჩინე, რომ ყინწვისის ანგელოზი ხელოვნების მუზეუმში ცხოვრობს, ხოლო შენ...
ვსხედვართ კაფეში. დღეს თევზის დღეა. ნაცრისფერი ხუთშაბათი ნელა დაცურავს ქალაქში, როგორც ვეება აკვარიუმში და ამოძრავებს ნისლის ფარფლებს, იმზირება ვიტრინების გაყინული თვალებით და წამდაუწუმ აღებს ხახას _ როგორც მეტროს გვირაბში ჩასაძრომ კარებს და ყლაპავს მგზავრებს, რომელთაც სადღაც მიეჩქარებათ. ჩვენ არსად გვეჩქარება. ვსხედვართ და ვწრუპავთ შამპანურს, რომელიც გვიანი შემოდგომის ნაცრისფერ ხუთშაბათს მინდვრის ყვავილებით მოჩითავს და ისევ, ისევ შეაერთებს ჩვენს ხელისგულებზე დახატულ კონტურულ რუკებს, თავის მდინარეებით და ბორცვებით.

4
ყველაზე ლამაზი ფოთლები ბავშვებს შინ მიაქვთ და შემოდგომის პაწაწინა დროშებივით აფრიალებენ, როგორც ნაღვლიან სილამაზეს როგორც ჩავლილი დღეების ნაკვალევს.

ყველაზე ბედნიერი ფოთოლი “ოთხთავის” ერთ-ერთ გვერდზე ჰპოვებს სიმშვიდეს. მე და შენ კი ისევ ვირწევით გაშიშვლებულ ხის კენწეროზე და სულს გვიხუთავს ყვავების სკორე.
ხომ არ მოგწყინდა, ჩვენც ხომ არ მოვწყდეთ კენწეროს?!

5

ხვალ ნოემბერი მოვა, რომ ქარ-წვიმის სახრეებით დაუნდობლად სცემოს ბაღები, რომ უფრო მეტად ჩააჟალტამოს შემოგარენი და გაძარცვული სველი ხეები დაამსგავსოს უმოძრაო გრავიურას. მაგრამ როცა წვიმა გადაიღებს, ჩადგება ქარი _ დაყრილ ფოთლებში უკანასკნელად გაიშრიალებს, წავა ღრუბელი, ღრუბელიდან ცის სარკმელი გამოიხედავს და ერთმანეთს ისე მძაფრად მოგვანატრებს, რომ ჩვენი მზერის შეხვედრის წერტილში _ ცის სარკმელში, კენტი ვარსკვლავი აღმოცენდება.
იმ ვარსკვლავისკენ მივდივარ მარტოდმარტო, მივტოპავ ტალახს და ჭაობში ყელამდი ჩაფლულს თვალი მაინც ზევით მიჭირავს და იმ ვარსკვლავის უხილავ ძაფს ვებღაუჭები.

მდუმარე კაცის ზღაპარი

ფიქრებში დიდი სარდალი იყო,
ფიქრებში ყოვლის შემძლე იყო,
მარტოოდენ ფიქრებში.

საცოდავი, არასოდეს დაფიქრებულა მხოლოდ ერთზე: _ ვიდრე იგი ფიქრში ცხოვრობდა, სხვანი, ბევრი ფიქრის გარეშე ან საერთოდ დაუფიქრებლად, თავიანთ საქმეს აგვარებდნენ და უარყოფდნენ ფიქრიანი კაცის სიჩუმეს.
ერთხელ ჰკითხეს:
_ უარყოფილო, ფიქრიანო კაცო, რისი იმედით სდუმხარ, რისი იმედით სჭვრეტ ქვეყანას და არას იტყვი?

ფიქრიან კაცს რადგან მხოლოდ ფიქრი შეეძლო და სიტყვების ხმამაღლა თქმა, მიმიკის და ხელის ქნევის მოშველიებით ეჯავრებოდა, მხოლოდ ფიქრში უპასუხა:
_ როდემდე უნდა მიეხმაროთ სიტყვებს ყვირილით, ერთ მშვენიერ დღეს უთქვენოდ რომ დარჩებიან სქელ წიგნებში თქვენი სიტყვები, შეძლებენ თქვენი გულისცემის განმეორებას?! თურმე თქვენი ღრიანცელი ცაში გროვდება, ინახება, არ იკარგება. არ გეშინიათ, ერთხელ უკან რომ დაბრუნდენ და...
მეორედ ჰკითხეს:

_ უარყოფილო, მდუმარეო, რისი იმედით სდუმხარ ანდა რას ელოდები? მომავალში გეკრძალება ჩუმად ფიქრი. წერილობით მოგვახსენე, რასაც ფიქრობ ან ხმამაღლა იფიქრე, რომ ჩვენც გავიგონოთ!
იფიქრა კაცმა ხმამაღლა:
_ მეფის ასული მიყვარს, თუმცა ბრიყვის შვილია იგი.
_ როგორ გაბედე! _ აყაყანდნენ ნაზირ-ვეზირნი.
რასაც სხვებიც ფიქრობდნენ და არ ამხელდნენ, სწორედ ის იფიქრა ხმამაღლა მდუმარე კაცმა.
ატყდა ჩოჩქოლი, ვინღა აცალა ხმამაღლა ფიქრი, მარადიული მდუმარება მიუსაჯეს ფიქრიან კაცს, მარადიული.
ერთი მოწაფე გამოუჩნდა დამტირებელი,
იმანაც ფიქრში დაიტირა:

ფიქრებში დიდი სარდალი იყავ,
ფიქრებში დიდი პოეტი იყავ,
ფიქრებში ყოვლის შემძლე იყავ,
მარტოდენ ფიქრებში.

მდუმარე კაცის სიზმარი

"მე დამესიზმრა რომ მეძინა"...
ანრი მიშო

1
სახლებს ღამღამობით ტოვებენ ადამიანები და სიზმრებში გადადიან საცხოვრებლად. ზოგმა საერთოდ დაკარგა სიზმარი _ უკანასკნელი საიმედო თავშესაფარი. ზოგმა ძილიც დაკარგა და თვალს უშტერებს მთვარეს, სარკმელში შემოხეტებულს. ყველას რაღაც ეკარგება ან ვიღაც ეკარგება, მაგრამ ის საერთო, რომელიც ყველას დაგვეკარგა და არც გვახსოვს _ გვქონდა თუ არა, ასე ჩუმად, შეუმჩნევლად როგორ მოგვპარეს?!
მესიზმრა: წიგნის მაღაზიასთან რიგი იდგა ვეებერთელა. ნუ იტყვით, თურმე ტუალეტის ქაღალდისთვის რიგში ჩამდგარიყო მთელი ქალაქი. სიზმარშივე გავიფიქრე: ამხელა ჯარი მეფე ერეკლეს რომ ჰყოლოდა კრწანისის ველზე, ასეთ ნიზმარს ხომ ვერ ვნახავდი?

2
რადგან ცხოვრება წინ წავიდა,
რადგან ქვეყნად ბევრი იუდა დაეხეტება,
ოცდაათ ვერცხლზე იაფია ახლა ღალატი
და დღეს, ტექნიკის აღმავლობის საუკუნეში

ჯვარცმა უფრო იოლია, ვიდრე ოდესმე.

ვერტმფრენებით აიტანეს გოლგოთაზე
რკინაბეტონის ვეება ჯვარი
და მიწაში ჩააჭედეს.

ყველაფერი მზადაა თითქოს,
მაგრამ ვინ უნდა გააკრან ჯვარზე,
სად არის იგი, ყრმა იესო სად გადამალეს?!

3
სიბრალული კი,
რომელსაც ბავშვის თვალები აქვს
და ბავშვის გული,
მხოლოდ ხანდახან გამოჩნდება
საქმეებით გართულ ქალაქში
და ცრემლებს მალავს,
ხმას არ იღებს, ქვითინი რომ არ ამოუშვას,
რომ არ შეიცნონ, არ დასცინონ
და ეკლიან გზას არ გაუყენონ.

4
გაურკვეველი მოლოდინი... ბუნდოვანი, ნისლიანი საღამო. მოულოდნელის მოლოდინის შიში... თითქოს გზაშია იგი _ უსახური, აბსტრაქტული... მხოლოდ მისი სახელია ცნობილი: _ შიში.
არავინ იცის, როდის ამოივლის კიბეს, როდის დააკაკუნებს კარზე, რა შინაარსის დეპეშას გამოგიწოდებს, ვისი ბაგეებით ამეტყველდება, ვისი თვალებით შემოგხედავს...
თვითმფრინავმა გადაიფრინა, შეაზრიალა ფანჯრები და გაუჩინარდა. მე ვლოცავ ყველას განურჩევლად, ვინც მწვანე და წითელი შუქის ციმციმს ჩახუტებია ზეცაში, ყველას _ ვისაც მოელიან, არ მოელიან. ვისთვისაც ყველაფერი თითქოს სულერთი იყო დედამიწაზე, მაგრამ ცაში შეიგრძნო, რომ ყველაფერი არაა სულერთი.

5
გაურკვეველი მოლოდინი. მკერდიდან ამოხტომას ლამობს ოქროს თევზი.

გაურკვეველი მოლოდინი. იქნებ გული _ შიშის ანკესზე არ წამოეგოს. თუ წამოეგო, ყველა სურვილი აგისრულდება, შეუერთდება წარსულს აწმყო და მომავალი!

6

გაურკვეველი მოლოდინი...
მზერამ დააჭკნო ყვავილები თუ თვალები
ჩამიქრო შიშმა?
ერთი ნაბიჯია უფსკრულამდე, ჩანს გასასვლელი
დანის პირივით ბასრი, რომელზეც
მზესაც აუსხლტება სხივები.
მაინც უნდა გახვიდე, იქნებ მეორე გზა არსებობს?!

აი, გზის მაჩვენებელი წარწერები:
პირდაპირ წახვალ _ დაიღუპები!
უკან დაბრუნდები _ დაიღუპები!
მარცხნივ წახვალ _ დაიღუპები!
მარჯვნივ წახვალ???

ველარ ამოვიკითხე, მხოლოდ კითხვის ნიშნებს აუღერიათ თავები კობრებივით.
საით? საით? საით?
მაინც უნდა გახვიდე, სხეულიდან რომ ამოძვრე უნდა გახვიდე, რადგან მოგწყინდა ოცნებით გამოგონილ გზებზე ხეტიალი. სცადე, იქნებ დანისპირზე გაიარო ჯამბაზივით...

7

შორს, ვარსკვლავების აბლაბუდაში გაება
შენი საწყალი ფიქრი. ამაოდ ცდილობ
თავის დაღწევას, ვიდრე მთლიანად არ შეისრუტავს,
არ დაეხსნება, დაგიბრუნდება ფიქრის ფიტული,
რომელიც ისევ უნდა ჰკვებო ოცნებებით,
ილუზიებით, მაგრამ ის აღარ მოინდომებს
ცაში გაფრენას, ისიც დუმილს ამჯობინებს
მშიშარა დუმილს.

●

მჯერა –
ძალიან თუ მომენატრე,

ჩადგება ქარი, გაირინდება,
რომ შენს ვნებიან სუნთქვას ვუსმინო –
მონატრებულს, ძლივს გახსენებულს.
მჯერა –
ძალიან თუ მომენატრე,
კვლავ გავიგონებ შენს ხმას ღამით,
როცა ბუდეში წამოიჭყივლებს
დედა ჩიტი – თბილ კვერცხებზე
გადაფოფრილი.
მესმის შენი ხმა თბილზე თბილი,
შეხვედრის ნდობით დათაფლული.
ჩემთვის შენი ხმა, შენი თვალები,
თითქოს ღია სარკმლებია,
საიდანაც მე ვიხედები
შენს შორეულ მდუმარებაში.
როგორც წვეთი წვეთს,
ჩვენ მარადის ვეძებთ ერთმანეთს,
ამ მონატრებას
შეერთების წყურვილი ჰქვია...

. . . . . .

ნუ გამახსენებ,
რომ ცრემლებიც ერთდებიან
ზოგჯერ თვალებში.

●

თქვა: დაჭრილი ვარ ზურგში ქურდულად...
იმ სიტყვებიდან გამოჟონილი
სისხლის ფერი და სითბო ვიგრძენი
და ამეწვა ზურგი უეცრად.

თქვა: ჭრილობა არ მიშუშდება,
სნეული ვარ, სნეულთა შორის უსნეულესი...
და ამ სიტყვებმა მეც უმალვე დამასნეულეს.

მთხოვა: როგორმე მეორე მხარეს გადამიყვანე,
მიმაღწევინე სასუფეველთან...

ხელი ჩავკიდე და წავედით,
მაშინღა მივხვდი:
მე ვიყავი მისი თვალები,
ის კი ჩემი ღია ჭრილობა,
ჩემი სნება და ჩემი სისხლი.

●

შენ ხარ მგზავრი
დღიდან დღეში მოხეტიალე,
ღამით კი მარად მეორე დღის სასწაულს ელი...

როგორც მზის სხივი
ბროლის ლინზაში გაჟონილი
წვავს ხეს და თივას,
შენც ასე ხარჯავ ასი წლის ძალას
წუთში, საათში
და ნაადრევად, შეუმჩნევლად
და უხმოდ იწვი...

ფრთხილად, ფრთხილად...
ხედავ? კარის მეზობელმა
გადამწვარი ნათურა გულგრილად რომ ამოხრახნა,
უკმაყოფილოდ შეავლო თვალი
და სანაგვეში გადაუძახა...

ფრთხილად, ფრთხილად!

შენ ხარ მგზავრი
დღიდან დღეში მოხეტიალე
და რადგან დღისკენ ეშურები
ღამის გვირაბით,
გამოიხედე წყვდიადიდან
კენტი ვარსკვლავის სათვალთვალოთი
და დაელოდე გათენებას –
რადგან ხარ მგზავრი
მიმავალი მდუმარების ოკეანეში.

სხვა შემოდგომა მოვა

ხომ შეიძლება
სამუდამოდ დამთავრდეს ეს გზა,
სხვა გზა დაიწყოს,
რომელიც მხოლოდ მკვდრებმა იციან?!

ჩალისფერ კლდეზე
ჩამავალი მზე აფენია
შეფერილი თრიმლის ბუჩქებით.

. . .

უნდა დაბრუნდე,
ამ სილამაზეს ვერ მიატოვებ,
ვიდრე უეცრად არ წაგიყვანენ
იმ უცნობ გზაზე,
რომელიც მხოლოდ მკვდრებმა იციან.

. . .

– რა იქნება,
ზღაპრად იქცეს ეს სიცოცხლე
და ნიადაგ ბოროტება რომ მარცხდებოდეს?!

– ჰე, ოცდათექვსმეტი წლის მეოცნებევ,
სწრაფად გადადი, მანქანა არ დაგეჯახოს.

. . .

მალე მტკვარივით აიმღვრევა
ეს შემოდგომა,
მღვრიე ფერებში ჩაიყვინთება
ჩვენი თვალები,
წამოხვალ ჩემთან,
ყვითელ ფოთლების მწარე შრიალის მოსასმენად?!
შემოდგომასაც არ უნდა წასვლა
და მაინც მიდის,
ისიც მიჰყავთ სუსხიან ქარებს.

. . .

გახსოვს, მეტროში ბებია და შვილიშვილი?!
როგორ წუხდა მოხუცებული, თითქმის ატირდა:
– ავტომატმა აბაზიანი ჩამიყლაპა
და გზის ფული აღარ მაქვსო,
შვილიშვილმა კი:
– მე მაქვს, ბებო,
შენ რომ პენსიაზე მომეცი ხურდები,
სკოლის ბუფეტში არ დავხარჯო.

. . .

რად ჩაგწყდა გული?!
ის დედაბერი კეთილი და ნაღვლიანი
შემოდგომა იყო,
ისეთივე ნაღვლიანი,
ახლა რომ თბილისში შემოდგომაა.

წამოხვალ ჩემთან,
ყვითელ ფოთლების მწარე შრიალის მოსასმენად?!

შემოდგომასაც არ უნდა წასვლა
და მაინც მიდის,
ისიც მიჰყავთ სუსხიან ქარებს,
სხვა შემოდგომა მობრუნდება ერთი წლის მერე,
ეს კი არა, სხვა შემოდგომა.

ხომ შეიძლება
სამუდამოდ დამთავრდეს ეს გზა
და ვერასოდეს გიხილო?!
არავითარი მელანქოლია –
ეს ჩემი ფიქრია,
რომელსაც ვწერდი მხოლოდ შენთვის
რადგან სხვა არავინ არსებობს
ოდნავი სითბო გამინაწილოს.
წარმოვიდგინე რომ შენც წახვედი,
შენც მიატოვე
მონაცრისფერო ჩემი დღეები.
რად შემეშინდა?!
სიმარტოვის შემეშინდა
თუ უშენობის?!

. . .

ტკბილ სიმარტოვეს
უშენობის სიმწარე ახლავს.

ხის ფრინველი

აი, ეს ხის ფესვი –
შენ რომ ფრინველს მიამსგავსე,
დანით მოჭერი
და კედელზე ჩამოჰკიდე,
დიდი ხნის წინათ ჩემს სხეულში აღმოცენდა.

ეს, ხის ფრინველი,
როცა შენ გძინავს,
ვარსკვლავიან ცაში დაფარფატებს
და შეუმჩნევლად ბრუნდება სახლში.
როცა ხის ფრინველს ფრთხილად ეხები,
მე მიხარია, რომ არ იცი და ისე მეფერები.

გარეთ, ბაღში
შემოდგომის ფოთლებს წვავენ,
ამ კვამლისფერი იყო
მაშინდელი ჩემი დარდი,
რომელიც ახლა შენი დარდია.

ყველაფერი,
რაც კი წინათ მე მეკუთვნოდა,
ახლა შენია, ავიც და კარგიც
ერთიანად გადმოგაბარე.

ჩემი ხმალი –
მუზეუმში ინახება,
ჩემი წიგნები –
ხელნაწერთა ინსტიტუტში,
ჩემი ციხე–კოშკების სანახავად
ექსკურსიებს აწყობენ,
ღამღამობით კი
ჩემი ტაძრების ბებერ წყვდიადში
ღამურები დაფათურობენ.

მე ველოდი შენთან შეხვედრას,
ვერაფერს ვიტყვი, მშვიდად ცხოვრობ,
წილად გერგო დიდი სიმშვიდე...
ყოველთვის, როცა ფეხს ვიდგამდი
და მკლავს შეეძლო ფარ–შუბის ჭერა,
მოდიოდნენ და მკლავდნენ, მჩეხავდნენ
მერე ჩემს ძვლებს
ველებზე ყრიდნენ,
ახსოვთ ღამეებს ჩემი ძვლების
მთვარისფერი ანარეკლი.

რომ არსებობდეს
ეროვნული სულის არქეოლოგია,
რომ შეიძლებოდეს
წამით მაინც თვალი შეავლო
წარსულის ისტორიას კი არა –
წარსულს ცოცხალს?!

რაზე ოცნებობ? რაზე ფიქრობ? ვის ელოდები?
ვხედავ შენს ფიქრებს
ჩემს ჯადოსნურ ტელეეკრანზე.
მე ვეღარ მოვალ,
ვეღარასოდეს მოგეშველები,
რადგან წარსულში რაც მეკუთვნოდა,
ახლა შენია,
ავიც და კარგიც ერთიანად გადმოგაბარე.

●

ენატრებოდათ ჩვენს წინაპრებს მარად სიმშვიდე,
აჰა, სიმშვიდეც,
მხოლოდ ერთი რამ გვეფიქრება:
მშვიდობა იყოს, ოღონდ ჯალაბს არ მოგვიშივდეს,
სხვა ყველაფერი კარგად იქნება.

რა სიმშვიდეა, ნიავისაც არ ისმის ჩქამი,
დამშვიდდა მტკვარი, უფრო მდორდება,
მაგრამ რა ხდება, რას ჩურჩულებს სამშობლო ღამით,
ჩემი სამშობლო – ცისფერკორდება?!

დამალობანა

მე დავმშვიდდები, შევურიგდები,
შევუერთდები სიჩუმეს მარადს,
მაგრამ რა ვუთხრა ნაცნობ სახეებს –
იმ განვლილ წამებს
ხან რომ თვალწინ გაცოცხლდებიან
ხან უცაბედად ჰქრებიან სადღაც.

რა ვუპასუხო შვიდი წლის გოგოს,
ოცდაცხრა წლის წინ
ჩვენ ხომ ერთად ვთამაშობდით დამალობანას.
მისი სახლის კედლიდან
თუმცა მოხსნეს სამგლოვიარო წარწერა:
„დავსტირით ჩვენს საყვარელ შვილს“,
დედამისის ნაღვლიან თვალებს
სად დავემალო?!
მის თვალებში ხომ ის წარწერა
ისევ ჰკიდია,
რომელიც სახლის კედლიდან მოხსნეს.

ალბათ ზაფხულზე მე ისევ ჩავალ
პროვინციულ, მყუდრო ქალაქში,
სადაც არავის აღარ ვახსოვარ...

მე მივალ ქალთან,
რომელსაც ჩემი დანახვა მუდამ უხარია
თანაც მუდამ ანაღვლიანებს.
მივალ და ვეტყვი: ეს მე ვარ, დედა –
მწუხარების და სიხარულის ერთიანობა,
ცრემლით ნაზელი სიხარული
და ბედნიერი სიმარტოვე,
მოვედი შენთან,
რადგან მხოლოდ შენს თვალებში
მე ვხედავ ჩემს თავს სწორედ ისეთს,
როგორსაც სხვები არ მიცნობენ.

ვიცი კვლავ მკითხავ: შენა ხარ, შვილო?
თუ გახსოვს ჩემი ეთერ–ქალი,
ამ ეზოში ერთად დარბოდით.

მე გავიხედავ ღობისაკენ
და თვალწინ მყისვე გაიელვებს
თვალხატულა, ნაზი ქურციკი
და მერე ისევ განზავდება ჰაერში,
თითქოს არც არსებულა,
მხოლოდ თვალები იბჟუტებენ ერთხანს,
მერე ისინიც შავ ორმოებად გადიქცევიან.

მე დავმშვიდდები,
ვივლი უაზროდ თავაწეული,
არც მხიარული და არც მწუხარე,
საქმიანი კაცის იერით,
მაგრამ მითხარ, რა ვუპასუხო
იმ მწარე კითხვებს,
გულში რომ ჩამრჩა
და ჩემთან ერთად რომ იზრდებოდნენ.

სად დავემალო განწირულ თვალებს,
ჩემს თვალებში რომ გადმოსახლდნენ
და ნიადაგ არ მასვენებენ.

და ღამით, როცა ტანჯულ თვალებით
სავსე სივრცეს დავაკვირდები –
მე შემერთვის, მათი უსაზღვრო სიმარტოვე
მე მემატება.

იმ ეზოში ერთად დავრბოდით
მე და შენ, ეთერ!
ოცდაცხრა წლის წინ
ვიღაცამ სული შეგიბერა
და შენ გაფრინდი ცაში,
როგორც ბაბუაწვერა,
დიდიხანია რაც მიფრინავ
მშვიდად, მსუბუქად
და ყოველ წუთში შორდები ხსოვნას,
მაგრამ ზოგჯერ ქურციკივით ჩაირბენ თვალწინ
და შენი მზერა წამით გაკრთება,
იმ ვარსკვლავივით, რომელიც ჩაქრა,
მაგრამ მაინც დამახსომდა ჩაქრობის მერე.
ორად იყოფა ყოველივე – ბნელად და ნათლად,
სიზმრად და ცხადად,

ნამყოდ, მყოფადად...
რა არის აწმყო?! ფიქრია ჩვენი –
მარად ორის შეერთების მძაფრი სურვილი.
ეთერ! შენც ორად ხარ გაყოფილი,
ბედის ორი ფრთა – თეთრი და შავი
ლაჟვარდებში მიექანება,
ცალი ფრთით როცა მიწას ეხება,
მეორე არ ჩანს,
სივრცეებში უჩინარდება.

ალბათ ზაფხულზე ისევ ჩამოვალ
პროვინციულ, მყუდრო ქალაქში,
გავივლი ჩემთვის, მარტოდმარტო
და მოწყენილი...
მე ამ ქალაქში შენმა ძახილმა ჩამომიყვანა:
მე ვიხუჭები!

●

მშორდება, მიდის,
ტანზე მაყრის შიშის ეკლები,
რა ჩუმად მიდის,
ღრუბელივით მიიპარება,
დრო, დრო წაშლის მის სახესაც
და თვალებში ჩაუგუბებს
წყვდიადს ღამისას.

ნუთუ მოვა დღე,
როცა მის სახეს ვერ გავიხსენებ
და არასოდეს, არასოდეს გამახსენდება?!

ფიქრის სახლი

ჩემი ფიქრებით,
სათამაშო კუბიკებით აგებულ სახლში
ვცხოვრობ უკვე დიდი ხანია.

ავანთებ ზოგჯერ ფიქრის სინათლეს,
მერე ვკითხულობ ფიქრების წიგნებს

და თუ ვიძინებ –
მესიზმრება ფიქრის სიზმარი.

ფიქრის ღრუბლები გადადიან
ქალაქის ცაზე
და ფიქრის ქარი
ფიქრის ფოთლებს მიაშრიალებს...

ფიქრის მდინარე ჩაუდის ქალაქს
და ფიქრი ფიქრზე შეყვარებული,
სიყვარულზე ფიქრობს ნიადაგ.

●

გუშინ ჩემთან რომ გამოგევლო
ჩავუყვებოდით ნაცნობ ხეივანს,
რომელიც მუდამ კოცნით იწყება
და მთავრდება
მოწყვეტილი ფოთლის შრიალით.

●

წითელფოთლება ნეკერჩხლის ტოტი
გუშინ მესტუმრა შორეულ ტყიდან,
მყისვე ლარნაკი შევთავაზე,
არ ეამა ქლორიანი წყალი საბრალოს,
ცოტა მოსვა და გაირინდა.

მხოლოდ პატარებს გაუღიმა, გაეთამაშა,
გვისმენდა ყველას –
ტელევიზორსაც შეავლო თვალი,
რადიოსაც მიაყურადა.
მალე მოსწყინდა, ისევ უღრანში,
ისევ ფესვებთან დაბრუნება შემომეევედრა,
თან წამჩურჩულა:
– ფოთოლცვენა მიხმობსო, ძმისავ...

●

არაფრად ვაგდებთ
გულისგულში ჩაგუბებულ დარდს
და ჩვენ–ჩვენი სიმარტოვისკენ მივეშურებით.

დარდი კი – თითქოს რომ არ ვამჩნევდით
და ხუმრობის ზღვაში ვახრჩობდით,
ისე თანდათან დაგვიმძიმდება
სიმარტოვისკენ მიმავალ გზაზე,
რომ გვიანღა მივხვდებით:
დარდს კი არა
საკუთარი საფლავის ქვებს დავატარებდით.

●

შუაღამისას ქალის კივილმა გამომაღვიძა...
გარდაიცვალა!
საბრალო ბერიკაცი,
ღამღამობით მისი კვნესა
მესმოდა კედლისიქიდან,
თითქოს წამლების სუნიც აღწევდა ჩვენს ოთახში

და ეს კედელი,
ეს ბეტონის ცივი კედელი –
მისი ბებრული ძვლებით გამთბარი,
ნათდებოდა, როგორც ეკრანი,
საიდანაც სიბრალული შემომცქეროდა.

●

თებერვლის ბაღებს დაუვლის ჟრჟოლა,
წამოფრინდება დამფრთხალი ჩიტი,
ძაღლების ყეფა სიჩუმეს არღვევს
და სითბოსაგან დაორთქლილ მინას
გულდასმით ბურღავს ვარსკვლავი კენტი,
რა სიჩუმეა, ნუთუ ახლა სუყველას სძინავს,
ნუთუ არავინ ფხიზლობს ჩვენს მეტი?!

ტურისტი ანატორის საძვალესთან

– ყველა სიტყვა ხმაურია, მხოლოდ ხმაური,
უაზრო ბგერების ნაზავი. კლდიდან ქვების ჩამოშლას ჰგავდა
შენი სიტყვები – უაზრო ხმაურს...
მხოლოდ ტირილი შეიძლება, მაგრამ ცრემლიც უძლურია
ამ უმკაცრეს ჭეშმარიტებასთან.

როცა ვარსკვლავი გაიშლება ცაზე – უსასრულობის ყვავილი,
მერე ვარსკვლავი შენს თვალებშიც გადმოინაცვლებს, მიხვდები:
შენც ამ უსასრულობის ნამცეცი ხარ, ვარსკლავზე ბევრად
უფრო მცირე ნამცეცი, მაგრამ ვარსკვლავი მაინც
ახერხებს შენს თვალებში გადმოსახლებას... შენც სამყარო ხარ,
ნამცეცოვანი სამყარო, უსასრულო ნამცეცი უსასრულობაში.

– ეგ ძველია, შენ ის მითხარი, ვინაა აქ ხმის გამცემი?!
– ხმის გამცემი?! აგე ბალახი, ჯაგი, ხავსი, ქვები, ცივი ქვები...
ამ ქვებს ოდესღაც ადამიანთა სიცხიანი სხეულები ათბობდნენ. ქვამ
შეისრუტა მათი სითბო, ხოლო ადამიანებმა შეისრუტეს ქვების
სიცივე. მაინც ქვამ გაიმარჯვა, მდუმარე სიპებმა გაიმარჯვეს...
ძვლები... ძვლები... ძვლები...
– სანტიმენტალური ცრემლები გადარჩენისთვის გაბრძოლებას
ნიშნავს.
მდუმარე გოდება შეუხორცებელ ჭრილობას აჩენს, იმ ჭრილობას
ვეღარ
განკურნავს ვეღარაფერი, ვეღარავინ, ვეღარასოდეს...

– ხმა... ხმას ნუ გაიღებ, აქ მდუმარებამ უნდა იმეფოს მარადისმა.
ხმა... ხმა შეიძლება შემოგესმას იმათი, ვინც თავის ფეხით მოდიოდა
აქ და ცხოვრებას აგრძელებდა, რადგან ადამიანს ყოველთვის
ენატრება სიცოცხლე, მაშინაც კი, როცა თავს იკლავს უკეთესი
სიცოცხლის იმედით.

გამორთე ტრანზისტორი, ტურისტო! გიგრძვნია, ოდესმე ქვის სიცივე
როგორ გადმოდის სხეულში, შეცოცდება, შემოძვრება, მერე იშლება
თანდათან და შენც ქვავდები. აი, ქვაკუთხედი ჭეშმარიტების.

გადაარჩინე თვალებში ვარსკვლავები, ცისკენ იმზირე ღამღამობით,
ცაში მათი ხმები გაბნეულა.

გესმის? გესმის? გესმის? ნელა მიცურავს დიდი დათვის თანავარსკვლავედი, ნელა მიცურავს... გეძინება, მოხუჭე თვალი, გაათბე ქვა, გაათბე, ვიდრე სიყვარულის ხე შრიალებს შენს სხეულში, ტიტებდახუნძლული, მზის მომლოდინე.

ხმას ნუ გაიღებ, ყოველი სიტყვა ეკალია გულს რომ მიკაწრავს და სიძაბუნეს მახსენებს შენსას.

მდუმარების ციხე–სიმაგრე, შეუვალი, შეუღწეველი, ქვების გროვა, ხავსის სამოსელი: სიძულვილი – ჭრელი მცურავი აქ იმალება, აქ აშტერებს გესლიან თვალებს, აქ ემალება სიყვარულს, ყველაზე უფრო საშიშ მტერს.
გადაარჩინე თვალებში ვარსკვლავები – ყვავილები, რომელსაც მხოლოდ მზერით კრეფენ ადამიანები, რომ ხანდახან მაინც იგრძნონ მიუღწეველი არსებობა.
გადაარჩინე თვალებში ვარსკვლავები, ეს ვარსკვლავები ენთოთ თვალებში საბრალოებს, ეს ქარი ზუზუნებდა მათ ყურებში და უძლურ სიტყვებს მიაქანებდა – ამაოების თესლს თესავდა სამყაროში.

ეს ბალახი ბიბინებდა მაშინაც, არაფერი შეცვლილა, ტურისტო!

გადაარჩინე თვალებში ვარსკვლავები – უსასრულობის ყვავილები, რომლებსაც მხოლოდ თვალები კრეფენ და სიკვდილამდე იმახსოვრებენ.

. . . . . .

წყალში ჩაალბე ობიანი ხმელი პური, ტურისტო, და ჩართე ტრანზისტორი, იქნებ გავიგოთ რა ამინდია თბილისში, ხომ არ დაეტყო უჩვენობა მილიონიან ქალაქს?!

გაორება

მშვიდობით, სხეულო,
უნდა მიგატოვო
და შორიდან უნდა ვუმზირო
შენს უმწეობას,
შენს ამაო მოძრაობას,

გულით კი არა
ბაგეებით ნათქვამ სიტყვებს მივაყურადო.

მშვიდობით, სხეულო – ბებერო სახლო!
მომწყინდა შენს კედლებში ყურყუტი,
მომწყინდა შენი დაუოკებელი სიმრუშე,
გაუმაძღარი სურვილები.

მშვიდობით, ბებერო სახლო!

ცარიელ სახლში

რა ძებნა უნდა მოწყენის მიზეზს,
გარეთ მარტია, სიჩუმეა ცარიელ სახლში,
ხან წვიმს, ხან მზეა,
ხან ქარს მოაქვს ყვავილების თეთრი ფიფქები
და მაკრთობს ფიქრი –
ნუთუ მარად მარტო ვიქნები?!

დავდივარ, ადგილს ვეღარ ვპოულობ,
გადავეჩვიე სიმარტოვეს – სანატრელ დობილს,
სდუმან წიგნები: „დედა ენა“, „ბუნების კარი“,
გროვდება სევდა და ქარწყლდება თითქოს იმედი,
თვლემს თოჯინა და სამთვლიანი ველოსიპედი.

გარეთ მარტია, სიჩუმეა ცარიელ სახლში,
გადაგეჩვიე სიმარტოვევ, ჩემო დობილო,
ადრე ხმაურით შეურვებული –
ვარ მდუმარებით უკმაყოფილო.

რა მსურს, რას ვნატრობ, არ ვიცი თავად,
გაურკვეველი ბურუსის ტყვე ვარ,
მაცდური ფიქრით ვაშენებ კოშკებს,
მართალი ფიქრი განაგრძობს რღვევას.

მიდის ღრუბელი, საავდრო ღრუბელს,
ჰორიზონტისკენ მივყვები მზერით,
გამოაღვიძა მარტმა ბუნება,
ცარიელ სახლში დაფრინავს მწერი.

მეც გამეღვიძა, აღარ მასვენებს
ჭრილობასავით მფეთქავი მარტი,
თან მიხარია ეს სიმარტოვე,
თან უნებლიე მამძიმებს დარდი.

უნდა გავუძლო, მეტი რა გზაა,
გულში იხუტებს სიტყვებს ფურცელი:
„ხარ წარმავალი და ცვალებადი,
მხოლოდ ზეცაა მარად უცვლელი.
შენ ხარ მცენარე, რადგან შეიცან
აყვავილების ტკბილ–მწარე განცდა,
უნდა გაუძლო მოახლოებულ
ჭკნობას – რადგანაც ხვედრია კაცთა“.

დიალოგი სალუდესთან „შატილი“

– რა საერთო აქვთ
შატილსა და სალუდეს „შატილს“?!
– აქ, ლუდისათვის მრავალი დადის,
იქ, უამრავი ტურისტი ჩადის!

– ნეტა იმ კაფეს დაარქვან მუცო,
ლუდსა ჰყიდიდნენ სვიანს, ქაფიანს,
რას ნიშნავს მუცო, აუხსნი უცნობს,
თან შეასწავლი ნასოფლართან გეოგრაფიას.

თორემ დრო გადის, დრო კარგავს ფერებს,
შამბმა იმატა და ხსოვნამ იკლო,
ვის შეაწუხებს ასი წლის მერე –
ვანხევი, ფარსმა, შატილი, დიკლო?!

ტყეში

გზააბნეულნი შუაღამის ტყე–ღრეში მივალთ,
ღამის წყვდიადში მოკიაფე კენტი სანთლისკენ,
მთელი ღამეა მოთმინებით მივედინებით.

მე ვიცი, ალბათ სხვებიც ხვდებიან,
მაგრამ ერთმანეთს არავინ უმხელს –

კენტი სანთელი,
იმ, საოცნებო ფანჯარაში მოკიაფე შუქი კი არა,
ვარსკვლავია ზეციური უდაბნოეთის.

გზააბნეულნი შუაღამის ტყე–ღრეში მივალთ,
მდუმარედ, წყნარად მივედინებით,
მე ვფიქრობ შენზე,
შენ, ვისაც გჯერა,
რომ მივაღწევთ იმედის სარკმელს
და დაქანცულებს შეგვიფარებს მოყვასი ჩვენი.

მე ვფიქრობ შენზე საბრალოო,
ტყიდან რომ გავალთ და ის სანთელი
ღამის ცაზე გადაინაცვლებს,
რა გეშველება! შეჩერდები უსასოო და ჩაიმუხლებ,
თუ ჩვენთან ერთად ივლი მარადის?!

ჩვეულებრივი დღე

(ინფორმაცია–1980)

– ჯიბეში გქონდეს, ბაღში მომეცი! – მითხრა ბიჭმა და გამომიწოდა სათამაშო ლურჯი პიპია. საბავშვო ბაღში მიდის იგი პიპიას ხათრით, მე კი მივდივარ სამსახურში მოვალეობის მკაცრი ბრძანებით.

ვით გამოცდილი მარათონელი ფინიშისთვის ვინახავ ძალას, შევახტები დაძრულ ავტობუსს; ავტობუსში სიზმრიდან ახლად დაბრუნებული მოქალაქენი სხედან. ავტობუსი მიდის ერთადერთი მარშრუტით: სახლიდან სამსახურისკენ, მოვალეობიდან – მოვალეობისაკენ. ასე თენდება ყოველი დილა, ასე იშორებს დროის უდაბნო ჩვენს ლამაზ დღეებს.

მეტროსთან ახლოს, გაზეთების გრძელ რიგში დგები, რადგან ისე მიეჩვიე პოლიტიკურ და სპორტულ სიახლეს, როგორც სიგარეტს საუზმის მერე.

გადახედავ ახალ გაზეთებს, ამასობაში მატარებელი შენს სადგურზე გაჩერდება, გამოვარდები ვაგონიდან და აშლილ ხალხს შეუერთდები.

ნელა ისრუტავს დილის მგზავრებს ესკალატორი,

მოძრავ კიბეზე ჩამწკრივებულნი – ზე მიმავალნი ქვე მიმავალთ უკვირდებიან:

თვალი თვალს ეძებს,
თვალი თვალს ეძებს,
„თვალი სულის სანთელი“.

ბროლის მაღაზიასთან ჰყიდის მამაკაცი პირველ ყოჩივარდებს. ვიხსენებ რა რიცხვია დღეს... 26 თებერვალი... წელს პირველად კალენდარმა მიმახვედრა, რომ გაზაფხული ახლოვდება. ტკბილ–მწარე სევდამ გული შემიკუმშა, ჯიბეები მოვიჩხრიკე და „კოსმოსის“ კოლოფის ნაცვლად აღმოვაჩინე სათამაშო ლურჯი პიპია... თითქოს პლასტმასის ბორბლებს კი არა, მე შევეხე გულის გულში დაძრულ სინანულს და გამახსენდა შვილის სიტყვები:

ჯიბეში გქონდეს, ბაღში მომეცი.

ამასობაში მივადექი კიდეც სამსახურს, შევაღე კარი, გამოვაღე მერე სარკმელი და ოთახში შემოვუშვი დილის ნიავი, ერთის იმედით:

იქნებ ჩემი სევდის ღრუბელიც გააყოლოს ცად მიმავალ ღრუბლის ქარავანს.

გვიანი შემოდგომის კვირადღე

„ტყე შეუნახეთ შვილებსა“

ფოთოლცვენა... ვინღა არ იმეორებს ამ სიტყვას?! შენმა სიტყვამაც ფოთოლივით გაიშრიალა; ყურთასმენაში შეფარფატდა და მაგრძნობინა, რომ ეს სიტყვა – ფოთოლცვენა, მილიონ ლექსში ნაწვალები და ნათრევი, აღარ იწვევს ტკბილ–მწარე ჟრუანტელს და ბუნდოვან განწყობილებას.

ფოთოლცვენა... ფოთოლცვენა... ფოთოლცვენა...

თითქოს მთელი ქალაქი იმეორებს ჩურჩულით ამ ერთ სიტყვას, უთვალავ ბაგეს, უთვალავ ყურს რომ გამოექცა და აგრძელებს თავის საქმეს ქართლის ტყეებში. ცვივა ფოთოლი, ეფინება ჟანგისფერ ნეშოს და თითქოს ზეცას ემატებიან ვარსკვლავები, ფოთლებში რომ ძლივსძლივობით იჭყიტებოდნენ.

კვირტობიდან – ყვითელ ფოთლამდე განვლილი გზა წარსულია, თან ფოთოლცვენა ჩავლილ გაზაფხულს მოგვაგონებს კარზე მომდგარ ზამთართან ერთად და მიტომ ვდარდობთ, ფოთოლცვენას საკუთარი ტკივილები გადავაბრალეთ.

გამეჩხერებულ ხეთა ჩრდილები დაცურავენ მიწაზე და ხეებისთვის სულერთია ვინ შეაჭრის გამხმარ ტოტებს, ვინ უპატრონებს. მე კი მინდა მარადიულად შენ გიმზერდე ხერხითა და ნაჯახით ხელში და შენ ჩეხავდე ავადმყოფ ხეებს, რომლებიც უკვე არც გაზაფხულს მოელიან, არც ფოთოლცვენას და ახალ ტყეებს დანებებას უქადაგებენ.

ხეები ადამიანებივით იბადებიან, მიწაა მათი დედა–მშობელი, მიწა აგზავნის კენწეროებს ცისკენ, მზისაკენ, ფოთოლცვენისას მისხალ–მისხალ, ფოთოლ–ფოთოლ უკან იბრუნებს ფერებს და დროს, რომელიც თურმე დროებით გასცა.

ფოთოლცვენა... ვინღა არ იმეორებს ამ სიტყვას – ნაზი ჩურჩულით, კამერული ინტონაციით, ფსევდოპოეტური ხმის კანკალით, მაგრამ ცოტას თუ ახსენდება, რომ სულ მალე დამთავრდება ფოთოლცვენა და ქალაქისკენ დაიძრება ყვავების გუნდი და უფრო ნათლად გამოჩნდება ათასი ჯურის სურო და ფითრი, ათასი ჯურის სნეულება – მშვიდობიანი თანაარსებობით, შეუმჩნევლად, მეთოდურად, როგორ იპყრობს ქართლის ტყეებს.

რას გვპირდება გაზაფხული?!

(პოემა – ზღაპარი)

მიიზლაზნება პიკის საათი, –
ბორბლებზე შემდგარ თუნუქის ყუთებს
და ათასობით თიხის სხეულებს,
კვამლში და ჭვარტლში გამოხვეულებს –
მიაქანებს ოთხივე მხარეს.

ისევ აქ ვდგავარ გზაჯვარედინთან,
უხსოვარ დროში დარგული ცაცხვი,
ბებერ მერქანზე მიკრული აბრა
აუწყებთ მავანთ ჩემს წლოვანებას.

დიდი ხანია ჩემს კენწეროზე ბინადრობს ყვავი,
მე შევეგუე მის სიმღერას და ხეშეშ კლანჭებს.

მანქანების გაბმულ საყვირზე
მწყდება და მწყდება მჭკნარი ფოთლები,
ტრიალ–ტრიალით მოფარფატებენ ქაოსის ფსკერზე

და ფილაქანი იფარება ჩემი ფიქრებით.

თავისუფლების კუნძულებისკენ –
სახლებისკენ იჩქარიან მოქალაქენი,
მიაბიჯებენ და ფოთლებზე დაწერილ ზღაპრებს,
მზისა და მიწის, ცის და ფესვების
იდუმალ ანბანს არავინ უმზერს.
ათასში ერთხელ ბერიკაცი თვალს შეავლებს
ჟანგიან აბრას.
ფრთხილად აიღებს ყვითელ ფოთოლს
და ფოთოლზე დაწერილ ამბავს
ჩუმად კითხულობს:

ბროლის კოშკის ნანგრევებზე ცხოვრობდა ბეჩავი იერემი, თითქმის უსხეულო, ხორშაკ ქართაგან გამოხრული, ჩიტის ფრთასავით მსუბუქი. ქასურივით დალეულს თვალებშიღა ენთო ჩაქრობას მომლოდინე წყვილი სანთელი. იმ წყვილ სანთელსაც სულს უბერავდა ეშმაკისეული, თან უკვირდა, რად არ ქრებაო?! თურმე კვირია მფარველობდა ბეჩავ იერემის, დაჰპირებია კიდეც: ვიდრე ზამთარი არ მოკვდება, ვიდრე დევები შენს სოფელს არ დაეხსნებიან, არ მოკვდები, ჯავრს საფლავში არ ჩაგატანო.

დააბიჯებდა ბროლის ნამსხვრევებზე ფეხშიშველი და უხმოდ, გულში იმეორებდა:
„რა ვქნისა“ ციხე ავიგე,
ჯავრი შავაბი კარადა,
საიქიოდან მოვიდნენ
ამ ციხის სანახავადა.

ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: ჟამი მოვალის,
კარ გაიღების თავადა“.

* * *

აღარ მოგბეზრდა, ამ დალეწილ ბროლის გორებზე
ფეხშიშველა რად ეხეტები?
აღარ მოგბეზრდა, აღარ გტკივა დაჩეხილი ფეხისგულები?
სისხლით რად რწყავ გაბერწებულ
და გულქვა მიწას?

დალეწილია ბროლის კოშკები,
თითო ნამსხვრევში
თითო პაწია ცისარტყელა ელვარებს მზეზე,
ვინ შეაგროვებს დაქუცმაცებულს, იავარქმნილს
შენი სისხლი შეადუღაბებს?!
დამშრალა ზეცა შენს თვალებში
და როგორც წყვილი სათოფურიდან
სიბნელე და შიში მოჟონავს...

ხედავ ამ ბავშვებს?!
შეშინებული ისე თრთიან,
ვით მოქანავე ვაზის ფოთოლზე წვიმის წვეთები;
ვის დაუჯერონ,
იმათ – სიმშვიდეს ვინც ქადაგებს და მორჩილებას,
თუ შენ, ბეჩავო –
სისხლისგან რომ იცლები თვალწინ?!

რა გული უძლებს ამოდენა ჯავრს?!
თუმცა თვითონ შენა ხარ ჯავრი!

შენი ძარღვები – ჯავრის ფესვები,
ვიცი, თანდათან გამოგფიტავენ
და ღრუბელივით წაგიღებს ქარი;
თუმც ჯავრიან სულს რა მოასვენებს,
ის ატირდება ჩვენს სიზმრებში
და ამ ბავშვების ღამეებში აქვითინდება,
იტირებს, ვიდრე ამ დანგრეულ ბროლის კოშკებზე
მოვა მავანი, შენი კვალის გამგრძელებელი.

აღარ მოგწყინდა?!
გამოიხედე, ჩვენს სოფელში სიმშვიდე სუფევს,
ყინულზე თეთრი ქალწულები დასრიალებენ
და მოშრიალე ფარჩეულის ნაზი ნიავი
აღაგზნებთ ყმაწვილთ, მოქეიფეთ
და სამშობლოს ეტყვიან ქებას.

საღამოობით დევ–ბეღელა მოგვიდის სტუმრად,
დათვრება არყით,
გაიხსენებს მერე კოპალას, იახსარს, სხვებსაც,
მათ შესანდობარს გადაჰკრავს იგი
და სასახლისკენ წავა ბარბაცით.

საამურია ჩვენი ყოფა,
არ გვაკლია არცა სარჩო–სანოვაგე
და არც გართობა,
სხვას რას ინატრებს კაცის გული,
მიდის ცხოვრება, როგორც წყალი წისქვილის ღარში.
შენ ერთი დარჩი მოუდრეკელი,
ჩვენს სიმშვიდეს რად არღვევ ღამით გაბმულ ქვითინით,
აღარ მოგბეზრდა?! დევ–ბეღელა თუმცა დევია –
ლმობიერი და გულჩვილია,
თორემ ერთი სულის შებერვით
ჩაგაქრობდა, შე, უბედურო!

. . . .

შემობრუნდა ბეჩავი იერემი,
დაკოჟრილი, სისხლიანი თითები გამოაჩინა,
ვით გალავანზე ამოსული ჯაგის ფესვები,
მზეს მიუშვირა მზით და ფიქრით დამჭკნარი სახე
და თვალებში ამოებურცა წყვილი კურცხალი –
ჯავრის ფესვების მწარე ნაყოფი.

* * *

კვდება ზამთარი, თოვლი მიწას გულზე აყრია,
ვით ფურცელ–ფურცელ გაფანტული თეთრი ვარდები,
ხელში მიჭირავს ხორბლის მარცვალი,
იგი თვლემს ახლა, თუმცა სულ მალე
ბებერი მიწა გამოაღვიძებს,
ვერ მოისვენებს ნესტიან ხნულში,
თითისწვერებზე აიწევა,
ჩაეჭიდება ფესვებით მშობელს
და ცისაკენ აიღერება.

კვდება ზამთარი,
ამოიხედა თოვლიდან მიწამ
გუბეების მღვრიე თვალებით,
რად ჩაიმუხლე, მიწას რაღას ეჩურჩულები?!

– ახლო არს ჟამი გაღივების, გამოღვიძების,
ჟამი შობისა, აღდგენის ჟამი!

* * *

მღვრიე სხეულის ზანტი ზმორებით
ბრუნავს მორევი და იმეორებს
ბრუნვას დროისას
და ჩაბუდებულ ფრინველის ჩქამი,
როგორც ჩავლილი ტალღა და წამი,
რისთვის მახსენებს გულად მოისარს:
ის დაიღუპა, ციხეც მოისრა,
ბინდს შეერია საღამოისას
სამარადისოდ.

გულზე გაწყვია, როგორც მორები,
თეთრი ტორები, თეთრი დათვისა,
შენი მიჯნური გაითავისა,
ვეღარ გაუძლო მანაც ცდუნებას,
მოლის ფარდაგზე ებღლარძუნება
ნამუსახდილი.

დიდება შენდა სვეტო ნათლისავ,
წილად მართლისა გამოიმეტე
სხივი სანთლისა –
წმინდა მცენარე,
ჩაუქრობელი და მოიმედე.

ძაფივით სხივი კენტი ფესვია
ხორბლის მარცვლისა,
სიბნელეში რომ დაუთესიათ
და მოგვევლინა სვეტად ნათლისად.

* * *

ჩამქრალ მზერაში აუკიაფდა
ჩალეული წყვილი სანთელი,
მერე ვიღაცამ, თითქოს სული შეუბერაო,
გაიბრძოლა და ჩაქრა თავისთვის.

სასაფლაოზე მწვანე ბორცვებია,
ერთ მათგანს ხატივითა ვკოცნი,
„მიწანიმც დაილოცებიან,

შიშველი მაგიმალნა ხორცნი“.

იმძლავრა ზაფხულმა. მარადი თოვლით და ყინულით შესუდრული ხეები წელში გაიმართნენ. ბეჩავ იერემის ტირილი დამონებულ სოფლელთა ყურთასმენაში შეგუბებულიყო და მოსვენებას აღარ აძლევდათ. მონუსხული ხალხი გონს მოეგო, დაუძლურებულ დევ–ბეღელას შეება. სოფელი ავსულთა ტყვეობიდან თავისუფლდებოდა.

. . .
თუმც ჯავრიან სულს რა მოასვენებს –
ზენა ქარივით ამოვარდება
და ფანჯრებს უმტვრევს
სასახლეთა გულგრილ სიმშვიდეს,
ჭუჭრუტანების პიკოლოებზე უკრავს და გლეჯს
დეკორაციულ მცენარეთა გაკრეჭილ ბუჩქებს.

ზოგჯერ ღამეულ სიმყუდროვეში
გულამოსკვნილი აქვითინდება
და არვინ უწყის, ტირილის ხმა საიდან მოდის.

ზამთარი კვდება,
ზის ფანჯარასთან დევ–ბეღელა...
შემოაქვთ თოვლი მანქანებით
და გზებზე ყრიან,
დნება თოვლი, თოვლის წყალი მდინარედ მიდის,
ამღვრეულ ტალღებს მიაქანებს
და ყინულის ლოდები მიაქვს.

* * *
ჟღალი ფრინველი – დევის სული,
ზის კენწეროზე,
ნაისრალიდან მოწვეთავს სისხლი,
ელამ თვალებში გუბდება ნისლი,
ყორეზე სისხლის ყოველი წვეთი
გადაიქცევა გველის წიწილად,
მას თავს უჩეჩქავს ამაყი ყოჩი
და ყოჩს მიჰყვება ფარა მორჩილად.

ნაისრალიდან მოწვეთავს სისხლი,
არ იკარგება ერთი მისხალიც,

მიწაზე სისხლის ყოველი წვეთი
აიღერება შამბად და ქაცვად,
ვიღაც უმიზნებს ცეცხლიან ისარს:
– დავწვათ, დედაბუდიანად დავწვათ!

კვდება ზამთარი, დევ–ბეღელას ამოსდის სული
და ეუფლება ამა სოფელს სიმშვიდე სრული.

* * *

გადაიფრინა თვითმფრინავმა თებერვლის ცაზე,
რკინის გუგუნმა წამით შეავსო ღამეული სიცარიელე,
გადაიფრინა, გაიყოლა შუქი ციმციმა
და წყვდიადში გაუჩინარდა.

ჩვენ ორნი დავრჩით
შუაღამის ბნელ ნიჟარაში,
იდუმალი ხმების მორევში მაინც მოისმის:
უთბილესი სისხლი თქრიალით მიდის
და ალღობს გაყინულ ძარღვებს.

როგორც მარცვალი, დამზრალ ხნულში რომ გამოიზამთრა,
ისე ეს გულიც გაღივებულა,
ელოდება აღმოცენებას.

სადღაა თოვლი, თოვლის ნარჩენი
ჭალისპირებზე გამოხრული ძელებივით ყრია,
ანთებს ენძელას, აღვიძებს იას
და აფერადებს მთა–ბარს გამჩენი
და ზამთრის ღამე უკანასკნელი
დნება თანდათან, წვეთწვეთობით მიიპარება...

რას გვპირდება გაზაფხული, ბეჩავ იერემი?!

შენი თვალები – ცრემლების სათავე,
აწეწილი თმა – ნაზამთრალი, ხმელი ბალახი,
ხელები – კედელს ჩაჭიდებული ჯაგის ფესვები,
დაღარული სახე – ამომშრალი წყაროს ფსკერები,
ჩამქრალი ღიმილი – მოთიბული ყვავილი –
მე ნათლად მახსოვს.

ბროლის კოშკის ნანგრევებზე უნახავს ერთ ობოლ ბიჭს ბეჩავ იერემის უსულო სხეული. იქვე დაუმარხავს წინაპართა საძვალეში.

ობოლი ბიჭი მწყემსი იყო, დღისით ფარას აძოვებდა, ღამით ძველ წიგნებს კითხულობდა, ბევრსაც ოცნებობდა. ბებერ ცაცხვებთან ხვდებოდა თურმე ბეჩავ იერემის სულს და ათას რამეზე საუბრობდნენ მამაშვილურად.

. . . .

ჩვენ ისევ ვხვდებით –
მხოლოდ ფიქრში,
შენ გადმოივლი ქვა–ღორღიან, ჟანგისფერ გზაწვრილს
და ბზის ტოტი გიჭირავს ხელში,
მწვანე სინათლე მეგზურივით წინ მოგიძღვება,
ცაცხვის ხეებთან, შორიახლოს ჩერდები წუთით
და მერამდენედ მეკითხები:

ხდება რამე სამზეოში გასაკვირველი?

ისევ მოგიხმობ, გამოიხედე სამალავიდან –
გვიმრის ფოთლებში შეყუჟულო,
ნუ გეშინია, შენიანი ვარ,
შენს ცრემლებში განბანილი

ჩემი სუნთქვაა დაშაშრულ მკერდზე
ნიავივით რომ გეფონება,
ჩემი ფიქრია, რომ გაშფოთებს დაუსრულებლივ,
შენი დაკარგული ოცნება ვარ,
ისევ შენთან ამოვბობღდი, ამოვიზიდე,
გამოიხედე სამალავიდან, მომეშველე,
ვიდრე წიხლს მკრავდნენ წინანდელივით,
ვიდრე მთიდან ქვა–ღორღივით ჩამოვიშლები.
მახსოვს, ჭაში რომ ჩაგამწყვდიეს,
ახლაც მიბურღავს ყურთასმენას
შენი გოდება:

„დაცარიელდება სოფელი,
გაუდაბნოვდება ბაღები,
აღმოსავლეთის ცხელი ქარი
გადახრუკავს ნათესებს,
გადააყვითლებს სიმწვანეს ველთა

და ყოველივე დაიფერფლება.

ვინც გადარჩებით, დაიხსომეთ:
კაცმა ცოდვა ამრავლა,
ცოდვამ მოსრა ცოდვილიანი.
ვინც გადარჩებით, დაიხსომეთ:
თქვენ გადარჩით ჩვენს გადასარჩენად,
ჩვენი დასასრული თქვენი დასაწყისია;
რადგან თქვენც მოგელით დასასრული,
თქვენი დასასრული
ჩვენს დასაწყისს მოასწავებს“.

ახსოვს ვინმეს შენი გოდება?!

ნეიტრონული საუკუნე
მიგრიალებს რკინის ბორბლებზე,
ახალი მითის მშენებლობის
ჩვენ ვართ შემყურე,
ვუახლოვდებით ფინიშს თანდათან
და ვაი იმას, ვინც პირველი მივა ფინიშთან,
მას ელოდება დამშეული მინოტავრი,
რომელიც მხოლოდ ძველ მითში მოკლეს
და ახლახან კვლავ დაიბადა.

ახალი მითის მშენებლობის
ჩვენ ვართ მოწმენი,
მხოლოდ მჭვრეტელნი
და ამიტომაც რკინა–ბეტონის
დილეგებში შეკეტილები
ვუმზერთ ტელევიზორის
კვადრატულ ზეცას,
როცა გვინდა გამოვიხმობთ
ვენტილატორის ხელოვნურ ნიავს
და ყველაფერი როცა გვბეზრდება,
მივუბრუნდებით თავისუფლებისაკენ მიმავალ გზებს:
ფ ი ქ რ ს და მ უ ს ი კ ა ს.
ბებერი მიწა!
ვინ თქვა პირველად – ბებერი მიწა?!
ალბათ, იმან, ვინც ყველაზე ადრე დაბერდა,
ვისი გულიც გალიიდან გაფრთხიალდა
და სამყაროს შეუერთდა სამარადისოდ.

დამწყვდეულია გული სხეულის გალიაში,
სხეული ოთახში,
ოთახი მრავალსართულიან სახლში,
სახლი ქალაქში, –
ქალაქის ბებერ მიწაზეა მიჯაჭვული.

მე კი არა, ჩემი სხეული დაეხეტება
ცოდვებით სავსე დედამიწაზე...

მე შენთან დავრჩი –
გაურკვეველ დროში, სივრცეში,
ახლა ჩემი სხეული ცდილობს
მე – წარსული,
მე – მომავალს მიუახლოვოს.
მღვრიე ბინდით თვალებავსებულს,
ბრმასა და უძლურს
საკუთარი სიბეჩავე მომაჩეჩეს
ჯოხის მაგიერ,
რომელსაც გზაზე მივაკაკუნებ...

მეორდება, ყველაფერი მეორდება...

მე ველოდები ლოდზე როდის მიამსხვრევ სურას
და გვეტყვი: – ასე დაილეწებით,
შემომხვევია გულზე ეჭვის ბებერი სურო,
ბედნიერებას ჩავლილს, ჩამქრალს ვერ დავეწევით.

მე ველოდები აღმოსავლის მდუღარე ქარი
როდის დაფარავს ველებს ჩვენი სხეულის ნაცრით,
ოცნების ჩიტებს საკენკივით გადავუყარე
ტყუილ–მართალი, მაგრამ შემრჩა სიმართლე მკაცრი.

თუ მაიმედებს მხოლოდ ერთი: იმედი უფლის,
ის ახლაც მოჩანს, გამოჩნდება, მუდამ მოჩანდა,
ჯერ ისევ მეწვის დაბზარული, ბებერი შუბლი
მწუხრის ვარსკვლავმა რომ ამოშანთა.

ზოგჯერ მგონია, თითქოს ჩამოვრჩი
სადღაც მიმავალ ღრუბლის ქარავანს
და ვდგავარ შენთან – მხოლოდ სხეული,

რადგან ოცნებით მე აქ არა ვარ.

შენი სიტყვები შემახსენებენ –
სად მე მიწისა, სად ცის ღრუბელი,
ის თავის ცაში გარდაიცვლება,
მე მიწაზე ვარ დასაღუპველი.

დავდივარ ასე გასამებული,
ცალკე გონება, სული, სხეული,
სამივ სხვადასხვა გზებზე მარები
და თავის გზაზე ყველა ეული.

მომენატრება ზოგჯერ სიმართლე,
ბავშვობის მერე მივიწყებული,
მოახლოვდება, როცა წყვდიადი
უძვირფასესი, მაგრამ წყეული.

ჩუმად გეძახი, არ გაიგონონ,
არ შემრისხონ, არ გამაძევონ –
შიშია ახლა ჩვენი ბატონი,
შიში თურმე ყველაფერს ხედავს.

შიშის შიშით ჩვენ ფიქრში ვცხოვრობთ,
ფიქრია ჩვენი დიდი ქვეყანა,
რადგან ფიქრს შიშის არ ეშინია.

* * *

შეწყდა ფიქრი, გაბუნდოვანდა სატკივარი,
ისევ შიში – დიდი ბატონი,
შეათამაშა დედამიწა და გაგვახსენა,
რომ ის არსებობს ყველგან და მარად.
მაგრამ მოკვდავი რის მოკვდავია,
ყოველივეს თუ არ ივიწყებს,
თავს თუ მალიმალ არ იტყუებს და არ ოცნებობს
აღუსრულებელ სურვილების აღსრულებაზე?!

(მიართვით კალიგულას მთვარის გრუნტი!
ასე გვიან ჩამოუტანეს;
აღუსრულეთ სურვილი ზოოპარკის ლომებს! –
გაყინულ ხორცს უგემურად შეექცევიან).

დაბერდა გული, იგი გონებას დაემორჩილა,
მოულოდნელის მოლოდინში
ფეთქავს ზოგჯერ თავდავიწყებით
და როს გონება შეამჩნევს რომ
გულის სიმღერა სხვა არა არის
თუ არა კენტი ეჟვნის წკრიალი უდაბურ ტყეში,
მყისვე ჩადგება საგულეში და ირინდება,
მერე ის ცხოვრობს მოგონებებში,
საკუთარ ხმას იხსენებს და სხვისი ჰგონია.

* * *

მზევ, ჩამავალო,
ყოველდღიურად გემშვიდობები,
თითქოს და გვტოვებ სამუდამოდ,
მიასვენებ დაღლილ–დაქანცულ
მოფუსფუსე დღეს,
კენწეროებზე, მწვერვალებზე, ღრუბლის ფთილებზე,
გადაატარებ ფრთხილად, მსუბუქად, –
მიხვალ, თან მიგაქვს მიწიერ ვნებით,
წვრილმანებით სავსე წუთები,
მიგაქვს, რომ ღამით მივატოვოთ ბებერი მიწა
და გავეშუროთ ფიქრის ქვეყნებში სახეტიალოდ.

მზევ, ჩამავალო!
განფენილია ავადმყოფ სულში
დღედაღამის შუქ–ჩრდილები...
ვარსკვლავები – ღამის უდაბნოს კაქტუსები
და მოწანწალე მარტის ღრუბლები
ტივტივებენ ამღვრეულ სისხლში
და ძარღვებს, როგორც წყალმცენარეებს
ფრთხილად არწევენ:
მეჩვენება, თითქოს ფესვები
დარჩა სადღაც, სხეულის მიღმა,
ამოუცნობ და მიუკვლეველ სიბნელის ფსკერზე.

მზევ, ჩამავალო!
ფრინველები ბრუნდებიან თბილ ქვეყნებიდან,
შენც უბრუნდები მიწის მეორე ნახევარსფეროს
გაზაფხული ააყვავილებს
ნაზამთრალ ბაღებს,
დაამწიფებს ნორჩ სხეულებს,

დამუხტავს ვნებით, წამლეკავი ენერგიით,
დაბადების მძაფრი სურვილით...

ღმერთო ჩემო! ყოველივე ისე სწრაფად,
ბუნებრივად განმეორდება,
ისე იმღერებს გაზაფხული,
როგორც პირველად
და მოფარფატე ფოთოლცვენას არ გაიხსენებს.
მზე კი არ ჩადის,

თითქოს ბერდება,
გვშორდება, მიდის,
მიაქანებს დღეს სხივჩამქრალს
და მობერებულს.

– ამოვა კიდევ? უხმოდ მკითხე
და მეც უხმოდვე გიპასუხე:
– ?!
როგორც ახალი სასაფლაო
იზრდება ხსოვნა,
ხსოვნა ჩავლილი, არსებული,
წარსული წლების...
იზრდება ხსოვნა,
გზას გასავლელს ამოკლებს თითქოს
და მომავლისკენ ვიმზირებით
ხსოვნის თვალებით.

მზე კი არ ჩადის,
თითქოს ბერდება,
გვშორდება,
მიდის,
მიაქანებს დღევანდელ დღეს –
ხვალინდელის ზუსტ ორიენტირს...
ასე მივდივართ,
ერთიმეორეს ვენაცვლებით,
როგორც ტალღები
თავქვე მიმავალ მთის მდინარისა...
ასე გრძელდება მდინარება...

– მცივა! ჩურჩულებ...
შევნიშნე როგორ დაგაყარა

შიშველ მკლავებზე სიცივის თუ შიშის ეკლებმა.
შენი მკლავები, ოდნავ მოხრილი და მოცახცახე,
თითქოს გამოსცემს ნაცნობ ბგერას კამერტონივით.

მზე კი არ ჩადის, თითქოს ბერდება,
გვშორდება, მიდის...

– ნუ გეშინია ზამთრის ცივი და გრძელი ღამის,
ჩვენ ამ ღამესაც ერთმანეთში დავემალებით.

* * *

როცა ეს გული ზარივით რეკავს,
შენ კი არ გესმის, არ გებრალები,
უცხოს რაღა ვუსაყვედურო?!
ნუთუ გული ზარივით რეკავს,
მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობა ამცნოს
ქვეყანას?!

მაგრამ როდემდე?! მეც წავალ,
ვინმეს თვალში თუ მოვაკლდები –
სხვა არაფერი,
მოგონებაში მიმიჩნევენ ბუნდოვან ადგილს,
მოგონებასაც დროის ხავსი შეაცოცდება,
ასე გაქრება ჩემი სხეული,
გარდაიქმნება უმოძრაო, აბსტრაქტულ საგნად.

ცრემლი?
ცრემლი მაშინ აგიკიაფდებათ თვალებზე,
როცა შეიგრძნობთ, რომ სიკვდილმა
ჩვენს საერთო, ცოცხალ დღეებს
ძალიან ახლოს ჩაუარა
და ჩემთან ერთად მიიმალა სამარადისოდ.

* * *

მაინც ქარს მიაქვს ყოველი სიტყვა,
ქარს მიაქვს, როგორც მცენარის თესლი
და არც კი იცი, სად ან როდის ჩაითესება,
ვის გულში რა აღმოცენდება –
სიკეთე, მტრობა, ძმობა თუ გესლი?!

მაინც ქარს მიაქვს ყოველი სიტყვა

და დედამიწას უბრუნდება მწიფე ნაყოფი,
შენც ქარის ფრთაზე აყირავდები
და მიგიზიდავს ღამის მნათობი.

შენც იმ სიტყვასთან აღმოცენდები,
მარტის წვიმებით რომ აივსები
და უდაბნოში აშრიალდება
შენი ფიქრების ოაზისები.

ჯერ კი ადრეა, ბროლის ნამტვრევებში,
ბრწყინავენ ცისარტყელას ლამაზი შოლტები,
წუთისოფელში წუთით მოსული
წუთით გშორდები, გშორდები გშორდები.

* * *

რომ ჩაიკითხა ცაცხვის ფოთოლი,
მოავლო მზერა ნისლიანი მძინარე ქალაქს,
ვით გამოხრული ხერხემლის მალა –
ნამლევი მთვარე ჩანდა გუბეში
და მოწანწალე ქუჩის ძაღლები უთვალთვალებდნენ.

მეეზოვენი გრძელი ცოცხებით
გულდასმით შლიდნენ მილიონობით ნაფეხურებს,
ნაგვის მანქანებს მიჰქონდათ მერე ნაკვალევები
და გარდაცვლილი პიკის საათის მკვდარი სხეული.

ეძინა ქალაქს,
თავისუფლების კუნძულები იძირებოდნენ
ჭრელი სიზმრების თბილ დინებაში
და ბერიკაცი ფიქრობდა დღეზე,
დღეზე, რომელიც უცაბედად გამოვიდოდა სამალავიდან,
გააღვიძებდა ადამიანებს და იგივე გზას გაუყენებდა.

ცაცხვის ფოთოლს შეეცოდა ბერიკაცი,
აფარფატდა, ცისკენ გაფრინდა
და ფოთოლზე უმჩატესი მისი სხეული ცად წაიყოლა.

* * *

აღარაფერი ხდება ქვეყნად,
აღარაფერი,
დამადლებულ სიმშვიდის მეტი...

სასაცილოა, რადგან ფიქრი –
ყველაზე უფრო მარტივი და პრიმიტიული
საზოგადოების უკანონო შვილია.

ის კი არსებობს,
იგი მართავს ჩვენს ღამეებს
და ჩვენს სიყვარულს,
ის იმეორებს ყველაზე უფრო
მარტივ შეკითხვას:
რას გვპირდება გაზაფხული?!